პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

მეოთხე წელიწადი

კომუნისტი

საქართ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტის
და სრულიად საქართველოს მუშათა,
გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცენტრ. აღმასკომის
ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი
№ 24, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმეებისა 10—11 საათ.
ტელეფონები (რედაქტორის 14—76 (მდივანის 10—58

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 24
ტელეფონი 10—49
ხელისმომწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთ —65 კ., დანარჩ. ქალაქში—85 კ. ქალაქს გარეთ 95 კ. განცხადებები: ნომპარელის სტრიქონით—20 კ. აწყობა ციფრებით—25 კ. ა. | ტექსტ გარეშე—40 კ. აწყობა ციფრებით—60 კ., შუა გვერდებში—ორჯერ მეტი. სამგლოვიარო განცხადება—5 მან., განმეორებითი განცხადება 15 პროცენტ. შეღავათით. განცხადება მიიღება ნაშუადღ. 3 საათამდე.

დღევანდელი ნომერი შეიცავს 4 გვერდს

№ 154 (1009) ოთხშაბათი 9 ივლისი 1924 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 4 კ. № 154 (1009)

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღიური

— მატეოტის გვამის ძებნა განაახლეს.

— საბერძნეთმა და გერმანიამ ხელი მოაწერეს სავაჭრო ხელშეკრულებას.

— მოელიან გერმანიის შინაგან საქმეთა მინისტრის იარესის გადადგომას.

— სტამბოლში გაიფიცნენ ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეები.

— ინგლისში გაფიცულია 600.000 მუშა.

საქართველოს კომუნისტური პარტიის
თბილისის კომიტეტი
წინადადებას იძლევა
ერთიან პარტიულ დღეს
საკითხები წამოაყენონ თვით უჯრედებმა
თბილისის კომიტეტის მდივანი **რუბენი.**

საბჭოთა ხელისუფლება და მასწავლებლობა

საბჭოთა ხელისუფლებისა და მასწავლებლობის დაახლოების საქმე დღითი დღე წინ მიდის მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით.

ეს ნათლად გამოჩნდა პარტიის მეცამეტე ყრილობაზე, როდესაც განათლების მუშაკთა მრავალ ათასიანი დელეგაცია წარსდგა ყრილობის წინაშე განცხადებით, რომ ისინი შეასრულებენ თავიანთ მოვალეობას საბჭოთა ხელისუფლებასა და მისი სკოლის მიმართ. თვით ყრილობაზე ამხ. კრუპსკაიამ, დაახასიათა რა მასწავლებელთა მდგომარეობა მოუწოდა დელეგატებს მათი მდგომარეობის გაუმჯობესებისაკენ.

საქართველოს კომპარტიის უკანასკნელ ყრილობაზეც იყო ეს საკითხი წამოჭრილი და გამოტანილ იქნა დადგენილება, რომ მოხდეს მასწავლებელთა სამუშაო ხელფასის მომატება.

ამ დღეებში ჩვენს გაზეთში დაბეჭდილი იყო საქართველოს განათლების კომისარიატის წარმომადგენლის განცხადება, რომ ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატის დადგენილების თანახმად ივლისიდან პედაგოგიური პერსონალის ხელფასი გადიდებულ იქნება დაახლოებით 35 პროცენტით. სახალხო განათლების კომისარიატის ფონდი კი გაიზრდება 260.000 მანეთიდან 322.800 მანეთამდე. ამ ფონდის საშუალებით პირველ რიგში გადიდებული იქნება სახალხო მასწავლებლის ჯამაგირი, რომელიც ივლისში უნდა უდრიდეს 30 მანეთს.

ეს არ არის, რასაკვირველია, მასწავლებელთა ხელფასის უმაღლესი ნორმა, რომლითაც დაკმაყოფილდება საბჭოთა ხელისუფლება. ეს მხოლოდ ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯია იმ მიზნისკენ, რომელიც დაგვისახა დიდმა ბელადმა.

ჩვენი რესპუბლიკების საერთო წინსვლა და ეკონომიურ-ფინანსიური გამაგრება თანდათან გვაახლოვებს იმ მდგომარეობამდე, როდესაც ჩვენი მასწავლებლები ყოველ მხრივ წინ იქნებიან ბურჟუაზიული ქვეყნების მასწავლებლებზე.

განათლების საქმე მესამე ფრონტათ არის გამოცხადებული და თუ შევსძელით სხვა ფრონტებზე გამარჯვების მოპოება თანდათანობით შევსძლებთ ამ ფრონტზეც სრული გამარჯვების მოპოებას.

ამის ნიშნები უკვე სჩანდა არა მარტო სახალხო მასწავლებელთა ხელფასით უზრუნველყოფის საკითხში, არამედ მასწავლებელთა იდეიურ-პოლიტიკური წინსვლისა და ჩვენთან დაახლოების საქმეშიც.

პარტია ანგარიშს უწევს მასწავლებელთა სულისკვეთებას, უშვებს თავის რიგებში მასწავლებელთა საუკეთესო ნაწილს. ამ დღეებში გამოქვეყნებული იყო ჩვენ გაზეთებში, რომ რუსეთის კომუნისტური პარტიის ცეკამ ,,სასურველად ცნო პარტიაში მიღების გაადვილება ყველაზე უფრო მოწინავე მასწავლებლებისთვის, რომლებმაც თავიანთი მოღვაწეობით ნდობა დაიმსახურეს‘‘. რადგანაც მასწავლებლებისთვის ძნელია ყველა იმ პირობების შესრულება, რომლებიც სავალდებულოთ სცნო მე-13 პარტყრილობამ პარტიაში არა მუშების მიღების დროს, ამის გამო ,,რ. კ. პ. ცეკა შესაძლებლათ სთვლის მასწავლებლობის ერთი ნაწილის დაახლოებით ათასი კაცის მიღებას სამი წლის სტაჟის მქონე კომუნისტების თავდებობით‘‘. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ მასწავლებლობა გაამართლებს ჩვენი პარტის ნდობას, წაუძღვება სახალხო განათლებას იმ გზით, რომელიც მიგვიყვანს შრომის სამეფოს გამარჯვებამდე. კერძოთ საქართველოშიც სჩანს ამის ნიშნები.

ანტიკომუნისტურმა პარტიებმა მასწავლებლობაშიც დაკარგეს გავლენა და მათ მიერ ერთ დროს მოშხამული სასკოლო ატმოსფერა თანდათან იწმინდება. დღეს ჩვენს გაზეთში იბეჭდება წერილი გორის მაზრიდან მასწავლებელთა კრების და მოწოდების შესახებ; ამ კრების მონაწილე 100 მასწავლებელი მოუწოდებს თავის ამხანაგებს ერთგულათ ითანამშრომლონ და ხელიხელ ჩაკიდებული იარონ საბჭოთა ხელისუფლებასთან და კომუნისტურ პარტიასთან.

მასწავლებლობის ასეთი განწყობილება ბრწყინვალე პერსპექტივებს შლის ჩვენ წინაშე და როგორც საბჭოთა აღმშენებლობის, ისე სახალხო განათლების საქმე მომავალში უფრო მტკიცე ნაბიჯებით წავა წინ. ახალი კომუნისტური ქვეყნის მშენებლობაში განათლების მუშაკი დაიკავებს იმ ადგილს, რომელიც მას სამართლიანად ეკუთვნის.

კიდევ მეტი დახმარება კოოპერაციას

(ხმა ადგილებიდან).

I

ამ უკანასკნელ ხანებში კოოპერაციის საკითხი გადიქცა ჩვენი პრესის, კრებების, კონფერენციების და პარტიულ და საბჭოთა ყრილობების ცენტრალურ საკითხად. ბევრი ითქვა მის მნიშვნელობაზე და ნაკლზე; მიღებულ იქნა მთელი რიგი ავტორიტეტულ დადგენილებათა იმ ზომების შესახებ, რომელიც გატარებულ უნდა იქნეს ცხოვრებაში კოოპერაციის გასამაგრებლად და გასამარჯვებლად.

ჩვენ, ადგილებზე მომუშავე ამხანაგებმა, შევითვისეთ საკითხი კოოპერაციის შესახებ; შევიგნეთ ის როლი, [illegible]მელიც უნდა შეასრულოს მან ამ [illegible]მავალ ხანაში, როდესაც საქმე [illegible]ვს ახალ ეკონომიურ პოლიტიკა[illegible]ან მთელი მისი დადებითი მხარეე[illegible]ით და საშიშროებით. ჩვენ შეგნებული გვაქვს აგრეთვე ისიც, რომ კოოპერაციის გამარჯვება დამოკიდებულია უმთავრესად ორ ძალაზე: მასსის მონაწილეობაზე მასში და სახელმწიფოს დახმარებაზე, რაზედაც მიგვითითებს ამხ. ლენინი თავის წერილში კოოპერაციაზე: „თითეული საზოგადოებრივი წყობილება იშობა განსაზღვრული კლასის მხოლოთ ფინანსიური დახმარებით, ახლა უნდა შევიგნოთ ჩვენ და საქმეთ ვაქციოთ ის, რომ ამ ჟამად ის საზოგადოებრივი წყობილება, რომელსაც [illegible]ნ მხარი უნდა დავუჭიროთ ყველაზე მეტად არის კოოპერატიული წყობილება, ამ მხარის დაჭერაში **უნდა ვიგულისხმოთ ჩვენ მხარის დაჭერა ისეთ კოოპერატიულ საქმიანობისა, სადაც ნამდვილათ იღებენ მონაწილეობას მცხოვრებთა ნამდვილი მასსები“.**

სახელმწიფო და მასსები (იგულისხმება პირველის ფინანსიური დახმარება და მეორეს აქტიური მონაწილეობა)—აი ის ორი უმთავრესი ძალა, რომელმაც წინ უნდა გააქანოს კოოპერაციის გაძლიერების საქმე.

შემდეგ ამხ. ლენინი განაგრძობს: **„რომ ვაიძულოთ ყველანი ჩაებან კოოპერატიულ ოპერაციებში, და ჩაებან არა პასიურად, არამედ აქტიურად, ჩვენ დაგვრჩენია ერთი რამ: შევქმნათ ჩვენი მოსახლეობა იმდენათ განათლებული, რომ მან შეიგნოს საყოველთაო კოოპერატიული გაერთიანების სარგებლიანობა და მიიღოს მონაწილეობა მასში. მხოლოდ ეს და სხვა არავითარი დიდი სიბრძნე არ არის საჭირო სოციალიზმში გადასასვლელად. მაგრამ, რომ მოვახდინოთ ეს, საჭიროა მთელი გადატრიალება, ხალხის მასების კულტურული განვითარების მთელი პერიოდი“...**

„ეკონომიური, ფინანსიური და საბანკო შეღავათების მთელი რიგი კოოპერაციას; ამაში უნდა გამოიხატოს ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს მცხოვრებთა ორგანიზაციის ახალი პრინციპისათვის (იგულისხმეთ კოოპერაცია ს. მ.) მხარის დაჭერა“..

დიდი მასწავლებლის ზემოთ მოყვანილ სიტყვებში ნათლად სჩანს ის აზრი, რომ პირველ ხანებში, როდესაც მოსახლეობა გაუნათლებელია, მოუმზადებელია, მთავარი როლი მუშაობაში კოოპერაციის შესაქმნელად უნდა შეასრულოს სახელმწიფომ. სახელმწიფოს დახმარებით მომაგრებულმა კოოპერაციამ უნდა უჩვენოს მაგალითი მოუმზადებელ მასსას, რომ კოოპერაცია მისთვის ეკონომიურად სასარგებლოა.

ამის საჭიროება ჩვენთვის ნათელი გახდება, თუ ჩვენ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ კოოპერაცია ჩვენში მთლად ახალი საქმე როდია. კარგი ხანია ჩვენი ხალხი კოოპერაციას რომ გაეცნო; კარგი ხანია ის რომ კოოპერაციაში ჩაება. ნახევარზე მეტი ჩვენი მოსახლეობისა კოოპერაციის წევრი იყო; შეუტანია მასში საწევრო და საპაიო გადასახადიც. ასეთი გარემოება თითქოს ხელს უნდა გვიწყობდეს ჩვენ, რომ კოოპერაციაში უფრო ფართეთ ჩავაბათ მასსა. მაგრამ სავალალო ის არის, რომ დღემდი კოოპერაციამ მასზე დამყარებული იმედები ვერ გაამართლა. აბა რომელ კოოპერაციას შერჩა ის თანხა, რომელიც მასსამ საწევრო და საპაიო გადასახადის სახით მისცა მას?—არც ერთს. ბევრ ალაგას არამც თუ არავითარი თანხა არ დარჩა, არამედ ინვენტარიც კი იქნა გაყიდული. მე არ შეუდგები ახლა აქ ამის საპატიო და არა საპატიო მიზეზების აღნუსხვას. სინამდვილეა, რომ მასსა აშკარათ ხედავს ერთ რამეს: უგზო-უკვალოდ დაიკარგა ის მანეთები, რომელიც მან კოოპერაციაში შეიტანა. ამ გარემოებაა მასსის თვალში ერთ დროს კოოპერაციის პრესტიჟი დასცა, კოოპერაციას ნდობა დაუკარგა. **ეს უნდობლობა მასსის მხრივ კოოპერაციისადმი ჩვენ მემკვიდრეობათ მივიღეთ მენშევიკური რეჟიმის და მენშევიკების კოოპერაციაში ხელმძღვანელობის დროიდან.** შემდეგ ჩვენ უკანასკნელ დრომდი, ვერ შევსძელით მასსისათვის გვეჩვენებინა იმის მაგალითი, რომ კოოპერაცია კერძო ვაჭარზე უფრო იაფად აწვდის მომხმარებელ—მუშას და გლეხს, საქონელს. ამის მიზეზი დღეს უკვე გამორკვეულია: მრავალი საფეხურები, გაბერილი შტატები, ბოროტ-მოქმედება ტრესტებში, სინდიკატებში და ბანკებში, რომელნიც კერძო ვაჭრებს მეტს შეღავათს აძლევდენ, ვინემ კოოპერაციას.

უკანასკნელ თვეებში, როდესაც პარტიამ და ხელისუფლებამ ამას სათანადო ყურადღება მიაქცია, როდესაც ნაწილობრივად გაიწმინდა ტრესტები, სინდიკატები და სხვა ორგანოები „ნეპმანებისაგან“, როდესაც ცოტა შეღავათი მიეცა კოოპერაციას სახელმწიფო ორგანოებიდან, მანაც (კოოპერაციამ) თუმცაღა სუსტად, მაგრამ მაინც ზოგიერთ შემთხვევაში უჩვენა მასას, **რომ ის კერძო ვაჭარზე უფრო იაფად აწვდის მომხმარებლებს საქონელს,** ამ მაგალითმა მასსაში განწყობილება შესცვალა, გარდატეხა მოახდინა. ეს დაამტკიცა ჩვენს სენაკის მაზრაში თუგინდ 6 ივლისის კამპანიამ, რომელსაც სამაზრო პარტკომის დადგენილებით, გარდა კოოპერაციის საერთაშორისო დღის ჩატარებისა, მიზნად ჰქონდა დასახული **ძირითადი კოოპერაციისათვის საძირკვლის ჩაყრა.**

ნურავის გაუკვირდება ეს „ახირებული“ განცხადება—„ძირითადი კოოპერაციისათვის საძირკველის ჩაყრა“, რადგანაც ჯერ ჩვენი კოოპერაცია ამ სიტყვის სწორი მნიშვნელობით არ გვქონია; ჩვენ გვქონდა მხოლოდ სავაჭრო დუქნები.

ის სინამდვილე, რომ იმ ჯერ მცირე დახმარებამ, რომელიც მიიღო კოოპერაციამ უკანასკნელ ხანებში სახელმწიფო ორგანოებიდან, კოოპერაციის დაცემულ პრესტიჟის აღდგენას ხელი შეუწყო, ზედმეტჯერ ამტკიცებს იმ დებულებას, რომ სახელმწიფო ორგანოებმა, განსაკუთრებით პირველ ხანებში კიდევ მეტი დახმარება უნდა აღმოუჩინონ კოოპერაციას, კიდევ მეტი შეღავათები უნდა მისცენ მას; **სახელმწიფო ორგანოების მონაწილეობა კოოპერაციის გამაგრებაში პირველ ხანებში უნდა სჭარბობდეს მასსის დახმარებას, მის მონაწილეობას, რომ შემდეგში მასსის დახმარებამ და მონაწილეობამ გადააჭარბოს სახელმწიფოს დახმარებას.**

ს. მამულია.

დღეიდგანვე უნდა მივიღოთ ზომები

რომ ახალი ეკონომიური პოლიტიკის დადებით მხარეების განხორციელების საქმეს ფართე ასპარეზი მიეცეს, რომ ამ „ნეპმა“ მასზედ დამყარებული იმედები გაამართლოს, საჭირო და აუცილებელი არის უაღრესი ყურადღება მიექცეს სოფლის მეურნეობის აღორძინებასა და აყვავებას.

რა წასწევს წინ მას?—კოოპერაციის მკვიდრ ნიადაგზე დაყენება, მიწის მოწყობის საკითხის დროზე გადაჭრა, აგრონომიული დახმარება, წვრილი მეურნისათვის კრედიტის მიცემა, საქონლის ჭირთან სასტიკი ბრძოლის წარმოება და სხვ.

სესხისა და კოოპერაციის საკითხებს მე ამ პატარა წერილში არ შევეხები. ეს საკითხები ბევრჯერ გაგაშუქებულა პრესის საშუალებით და კიდევ იქნება მაზე ლაპარაკი. მე მინდა შევეხო მხოლოდ მიწის მოწყობისა, აგრონომიულ დახმარების და საქონლის ჭირთან ბრძოლის საკითხებს.

მართალია ჩვენ მიწის რეფორმა რევოლიუციონური წესით ცხოვრებაში გავატარებთ, ამ მხრით ჩვენ გავიმარჯვეთ... რეფორმა გატარდა, მაგრამ არც იმის თქმა შეიძლება, თითქოს ამ გატარების დროს შეცდომებს არ ჰქონებოდეს ადგილი. რასაკვირველია, ექნებოდა და ამ **შეცდომების გამოსწორება შეიძლება მხოლოდ მიწის მოწყობის წესით.**

როგორ არის დღეს მაზრებში ამ მხრით საქმე? ცუდათ.

მე ამით არ მინდა ვინმეს ბრალი დავსდო, აღვნიშნავ ფაქტს.

მაგალითად ოზურგეთის მაზრაში დღეს მხოლოდ ორი მიწის მზომელი მუშაობს. განა შეიძლება ორმა მიწის მზომელმა ერთ მაზრაში მიწის მოწყობის საქმეს რაიმე კვალი დააჩინოს? რასაკვირველია, არა! ალბათ ასეთივე მდგომარეობაში იქნებიან ზოგიერთი მაზრებიც.

მართალია სამაზრო ხელისუფლებას აქვს უფლება დაიქირაოს მიწის მზომელები, მაგრამ რით უნთა შესძლოს როცა მას წლიური ხარჯთაღრიცხვის მიხედვით 45 პროც. დეფიციტი აქვს? ვერ შესძლებს, და გლეხის მეურნეობაში **წამხალისებელი** და მისთვის **იმედის** მიმცემი საკითხი გადაუჭრელი რჩება. ამ საქმეს თან ხელს უშლის მიწის მზომელთა აუტანელი მატერიალური მდგომარეობა. განა თვიურათ 19 მანეთის მიმღები „სპეცი“ იმუშავებს ისე, როგორც ეს საჭიროა? ანდა კიდევაც რომ იმუშაოს, იქნება მისი მუშაობა ინტენსიური და ნაყოფიერი? რასაკვირველია, არა!

ამ მდგომარეობას დღეიდანვე უნდა მიექცეს ყურადღება და სათანადო ნაბიჯებიც უნდა იქნას გადადგმული.

ეხლა ავიღოთ აგრონომიული დახმარების საკითხი. მთელი გასული წლის განმავლობაში ჩვენ ვარჩენდით ნახევრად დამშეულებს და ამ შიმშილობის გამო არაფრის გამკეთებელ მაზრის აგრონომებსა და ინსტრუქტორებს. 5—4 თვის განმავლობაში ისინი ჯამაგირებს ვერ ღებულობდენ, არ ჰქონდათ სოფლად სამიმოსვლო ხარჯები, არ ეძლეოდათ დღიურები და ამ მდგომარეობაში მყოფ თანამშრომელს რა უნდა მოსთხოვო? ამ მდგომარეობასაც აქიდგანვე უნდა მიექცეს შესაფერი ყურადღება და დღეიდგანვე გამოინახოს წყაროები მაზრის აგრონომებისა და ინსტრუქტორების ჯამაგირების გასადიდებლად.

საქონლის ჭირთან ბრძოლის საქმეც ვერ არის ჯერ სათანადოთ მოგვარებული. ავიღოთ, მაგ., **გურია.** დღემდის გურიაში ორი ექიმი და ორი ექიმის თანაშემწე მუშაობდა. ეს შტატი საკმარისი არ იყო. დღეს კი მაზრაში მხოლოდ ერთი ექიმი და ერთი მისი თანაშემწე დასტოვეს. თუ გასული წლის შტატი საკმარისი არ იყო, მით უმეტეს საკმარისი არ იქნება ეხლა. ჩვენ დარწმუნებული ვართ შტატის ეს შემოკლება სხვა მაზრებშიაც მოხდებოდა, რაც აუცილებლათ ისე, როგორც გურიაში, გამოიწვევდა საქმის შეფერხებას. დამაფიქრებელია ეს მით უმეტეს დღეს, როცა ოზურგეთის მაზრაში ციმბირის ჭირმა შედარებით სხვა წელზე საგრძნობლად იჩინა თავი. ჩვენ ვიცით შტატის შემოკლება და საერთოდ ხარჯების შემცირება რა დადებით გავლენას ახდენს დღევანდელ ფინანსიურ რეფორმის გატარებაზე, მაგრამ გვგონია, რომ ზემო აღნიშნული შტატის შემოკლება სამაგიეროდ ორმაგ ზარალს მოგვიტანს. ამიტომ **ამ დარგში** შტატის შემოკლებას ჩვენის აზრით ადგილი არ უნდა დაურჩეს.

რომ ყველა ზემოდ აღნიშნული დადებითად შეიცვალოს და დროზე გამოსწორდეს, საჭიროთ მიგვაჩნია შემდეგი ზომების მიღება: 1. **როგორც მაზრებში, ისე ცენტრში კანცელარიის თანამშრომელთა შტატის მინიმუმამდე დაყვანა, 2. ამ შემცირების ხარჯზე აგრონომებისა, მიწის მზომელებისა და ვეტერინალურ თანამშრომელთა შტატის გადიდება და იმათი დღევანდელთან შედარებით შესაფერი ჯამაგირებით უზრუნველყოფა და 3. საადგილ-მამულო ქ.-განყოფილების ზემოდაღნიშნულ ნაწილების კოოპერაციასთან დაკავშირება.** ეს აუცილებელი არის მეორე მუხლში მოხსენებულ საშუალების გასაძლიერებლათ—ერთის მხრით და კოოპერაციის ავტორიტეტის ასაწევათ—მეორეს მხრით.

მართალია, ეს საშუალებანი პრიმიტიულია, მაგრამ ღრმათ მწამს, თუ მოვინდომებთ ჩვენ მას გავატარებთ ცხოვრებაში და ამ პატარა საშუალებებს შესაფერ ნაყოფსაც გამოვაღებინებთ.

თ. დოლიძე.

მოკავშირეთა კონფერენციის გარშემო

მაკდონალდი პარიზს მიემგზავრება „გაუგებრობის“ გასაფანტავად

გავრცელდა ხმები კონფერენციის გადადების შესახებ

პუანკარეს იმედი აქვს, რომ კონფერენციის მოწვევამდი დაამხობს ერრიოს კაბინეტს

იტალიაში სკეპტიკურად უყურებენ კონფერენციის მოწვევის საკითხს

ფიქრობენ, რომ კონფერენცია (თუ შესდგა) ბრიუსელში გაიმართება.

ინგლისი ამშვიდებს საფრანგეთს

მაკდონალდის განმარტება.

პარიზი. 6 ივლ. ინგლისის ელჩმა პარიზში კრიუმ აცნობა ერრიოს, რომ მაკდონალდი წინადადებას იძლევა ეცნობოს ლონდონის კონფერენციაზე მოწვეულ ყველა სახელმწიფოებს, რომ თავისი ნოტის ფორმულიროვკით, რომელიც მხოლოდ ინგლისის მთავრობის აზრს გამოხატავდა, მაკდონალდს არ ჰქონია განზრახვა ხელები შეებორკა ერრიოსათვის რაიმე ვალდებულებებით. ერრიო დაეთანხმა მაკდონალდის წინადადებას.

ინგლისის ელჩი ერრიოსთან.

ბერლინი. 8 ივლ. ერრიო ორი საათის განმავლობაში ესაუბრა ინგლისის ელჩს, რომელმაც ამომწურავი განმარტება მისცა მას იმ ინსტრუქციების შესახებ, რომელიც მან თავის მთავრობისაგან მიიღო. ელჩმა სავსებით გაფანტა ერრიოს ეჭვები იმის შესახებ, რომ თითქოს ინგლისის მთავრობამ მემორანდუმის გაგზავნით შელახა საერთოდ საფრანგეთის და კერძოთ საფრანგეთის პრემიერის ინტერესები.

მაკდონალდი პარიზს მიემგზავრება

გაუგებრობის გასაფანტავად.

პარიზი. 8 ივლისი. კომენტარიებს უკეთებს რა მაკდონალდის გამგზავრებას პარიზში, ფრანგული პრესა ხაზს უსვამს, რომ მაკდონალდის სურვილია აღადგინოს მეგობრული ურთიერთობა საფრანგეთსა და ინგლისს შორის. გაზეთების აზრით, მაკდონალდის ჩამოსვლა საფრნაგეთში გაფანტავს გაუგებრობას, რომელიც უკანასკნელ ხანებში შეიქმნა ორივე ქვეყნის მთავრობებს შორის. პრესა სათანადოთ აფასებს ორივე პრემიერის „კეთილ სურვილებს“ და უსურვებს მათ გამარჯვებას.

„ევრი“ ამბობს: „მაკდონალდის ჩამოსვლა ამტკიცებს იმას, რომ ინგლისს სურს თანამშრომლობა საფრანგეთთან“.

„მატენი“ იმ აზრისაა, რომ საფრანგეთი სათანადოთ დააფასებს მაკდონალდის ასეთ საქციელს.

„ფიგარო“ ფიქრობს, რომ მხოლოდ საფრანგეთის მუდმივი და აქტიური თანამშრომლობა უზრუნველყოფს მშვიდობიანობის საქმეს.

სად შესდგება კონფერენცია

ლონდონი თუ ბრიუსელი.

ბერლინი. 8 ივლისი. ჰავასი აქვეყნებს ლონდონიდან მიღებულ დეპეშას, რომელშიაც ნათქვამია, რომ ლონდონის ოფიციოზური წრეები წინადადებას იძლევიან გადატანილ იქნას კონფერენცია ბრიუსელში, სადაც ლონდონი ნაკლებ გავლენას მოახდენს კონფერენციაზე.

ბერლინი. 8 ივლისი. ლონდონის პრესის აზრით, არავითარი ცნობები არ მოიპოვება იმის შესახებ, რომ თითქოს შესაძლებელი იყოს საფრანგეთის და ინგლისის მთავრობების მიერ წინადადების გამოქვეყნება კონფერენციის ბრიუსელში გადატანის შესახებ.

საფრანგეთის ნოტა

კონფერენციის დღის წესრიგის გარშემო.

პარიზი. 8 ივლისი. დამთავრდა საფრანგეთის ნოტის შედგენა, რომელიც შეეხება ლონდონის კონფერენციის პროგრამას. დღეს ნოტა განხილული იქნება მინისტრთა საბჭოს სხდომაზე.

პარიზი, 8 ივლისი. ნოტაში, რომელიც საფრანგეთის მთავრობის მიერ გაგზავნილი იქნება მოკავშირეთა სახელმწიფოებისათვის, დაწვრილებით აღნიშნული იქნება საფრანგეთის მთავრობის შეხედულება სარეპარაციო საკითხზე.

ჩვენ და უცხოეთი

სპარსეთში

სავაჭრო ხელშეკრულება სასარგებლოა ორივე ქვეყნისათვის

მოსკოვი, 8 ივლისი. სპარსეთის საქმეთა რწმუნებულმა მოსკოვში გადამრიზა-ხან-შოფახერმა „როსტას“ თანამშრომელთან საუბრის დროს სავაჭრო ხელშეკრულების ხელის მოწერის გამო განაცხადა, რომ ეს ფაქტი უსათუოდ გამოიწვევს საერთო დაკმაყოფილების გრძნობას. **სავაჭრო ხელშეკრულებამ უნდა გააუმჯობესოს და გააფართოვოს ორივე ქვეყნებს შორის არსებული ეკონომიური ურთიერთობა.**

„მე დარწმუნებული ვარ, განაცხადა შოფახერმა, რომ ახლო მომავალი და უწინარეს ყოვლისა მოახლოვებელი ნიჟეგოროდის ბაზრობა დაადასტურებს ჩემს აზრს, რომ საბჭოთა კავშირის ვაჭრობას, სპარსეთთან დადებულ ხელშეკრულების წყალობით, მიეცემა უფრო გაცხოველებელი ხასიათი. მასში ჩაბმული იქნებიან სპარსეთის ვაჭრების ფართო წრეები რომლებიც დღემდის ვაჭრობაში არ იღებდენ მონაწილეობას, რადგანაც არ იყო გამორკვეული ვაჭრობის პრაქტიკა. სპარსეთის ხალხი სამართლიანად დააფასებს საბჭოთა კავშირის გადაწყვეტილებას და საბოლოოდ განმტკიცდება მეგობრული ურთიერთობა საბჭოთა კავშირსა და **სპარსეთს** შორის“.

შვეცია

ფრიალებს ჩვენი დროშა

სტოკჰოლმი, 6 ივლისი. სტოკჰოლმში შეკრებილ საერთაშორისო საფოსტო კავშირის კონგრესის გამო, შვეციის პრესა აღნიშნავს საბჭოთა კავშირის შესვლას საერთაშორისო საფოსტო კავშირში; **გაზეთი ყურადღებას აქცევს იმას, რომ კონგრესს ესწრება საბჭოთა კავშირის დელეგაცია და სხვა ერების დროშებს შორის გამოფენილია საბჭოთა კავშირის დროშაც.**

შვეცია

საერთაშორისო საფოსტო ყრილობა.

სტოკჰოლმი. 5 ივლისი. დიდის ზეიმით გაიხსნა მე-8 საერთაშორისო საფოსტო კონგრესი. **ყველა ერების დროშების შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს საბჭოთა კავშირის დროშა.**

მცირე ანტანტის კონფერენცია

მცირე ანტანტის კონფერენციაზე მთავარი საკითხი იქნება—დამოკიდებულება საბჭოთა კავშირთან

ჩეხო-სლოვაკია და სამხრეთ-სლავია იცნობენ საბჭოთა კავშირს, როგორც კი კონფერენცია დამთავრდება

რუმინეთს განზრახვა აქვს შესცვალოს დამოკიდებულება საბჭოთა კავშირის მიმართ.

კონფერენციის პროგრამა

პრაგა, 6 ივლისი. გამოქვეყნდა პრაგაში შეკრებილ მცირე ანტანტის კონფერენციის პროგრამა: 1) აზრთა გაცვლა-გამოცვლა საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ; 2) უნგრეთის და ავსტრიის ფინანსიური გაჯანსაღება; 3) მცირე ანტანტის სახელმწიფოების პოზიცია სარეპარაციო საკითხში; 4) **დამოკიდებულება საბჭოთა კავშირთან;** 5) საკითხი გერმანიის ერთა ლიგაში შესვლის შესახებ. 6) კონტროლი გერმანიის შეიარაღებაზე; 7) საკითხი საგარანტიო ხელშეკრულების შესახებ.

გარეშე საქმეთა სამინისტროს გაზეთი „გაზეტ დე პრაგ“-ი იტყობინება, რომ საბჭოთა კავშირის საკითხში მცირე ანტანტა თავის პოზიციას შეუთანხმებს დიდი სახელმწიფოების პოზიციას.

მთავარი საკითხია საბჭოთა კავშირის ცნობა

ვენა, 6 ივლისი. მცირე ანტანტის სახელმწიფოების პრესა ამტკიცებს. **რომ მთავარ საკითხად პრაგის კონფერენციაზე იქნება საკითხი ურთიერთ დამოკიდებულების შესახებ მცირე ანტანტის სახელმწიფოებსა და საბჭოთა კავშირს შორის. სამხრეთ-სლავია და ჩეხო-სლოვაკია მზად არიან იცნონ საბჭოთა კავშირი. რუმინეთმაც კი, რომელიც ამას წინათ იმუქრებოდა მცირე ანტანტიდან გამოსვლით იმ შემთხვევაში, თუ სამხრეთ-სლავია და ჩეხო-სლოვაკია იცნობენ საბჭოთა კავშირს, შეიცვალა თავისი პოზიცია და ის მზად არის წავიდეს დათმობაზე; მას განზრახვა აქვს ამ გზით მიაღწიოს იმას, რომ საბჭოთა მთავრობამ დაადასტუროს ბესარაბიის შეერთება რუმინეთთან. ხორვატთა გაზეთ „ობზორ“-ის ცნობებით, ჩეხო-სლოვაკია და სამხრეთ-სლავია საბჭოთა კავშირს იცნობენ პრაგის კონფერენციის მუშაობის დამთავრების შემდეგ.**

მკვდარ წერტილზე

ინგლისის ოპტიმიზმი.

ბერლინი, 8 ივლისი. ლონდონის კონსერვატიული პრესა ამტკიცებს, რომ საფრანგეთ-ინგლისის უთანხმოება ხელს არ შეუშლის ლონდონის კონფერენციის მოწვევას.

შეერთებული შტატების ნაბიჯები.

ბერლინი, 8 ივლისი. შეერთებულ შტატების მთავრობამ გადასდგა ნაბიჯები დოუესის გეგმის სისრულეში მოსაყვანად. როგორც ფიქრობენ, ეს ნაბიჯი გამოწვეულია **პარიზსა და ლონდონში გავრცელებული ხმებით, თითქოს კონფერენცია გადადებული იქნება და შემდეგ შეიკრიბება არა ლონდონში, არამედ ბრიუსელში.**

ბერლინი 8 ივლისი. ლონდონის კონფერენციის პროგრამა განხილულ იქნა ბელგიის მინისტრთა საგანგებო სხდომაზე მეფის თავმჯდომარეობით.

რას ამტკიცებს მიპატიჟება.

რომი, 6 ივლისი. გაზ. „იდეა ნაციონალეს“-ს განცხადებით, იტალიისათვის გამოგზავნილი მიპატიჟება ლონდონის კონფერენციაზე ამტკიცებს იმას, **რომ ინგლის-საფრანგეთის უთანხმოება ჯერ კიდევ არ დამთავრებულა. გაზეთი აღნიშნავს, რომ სარეპარაციო საკითხი იმავე მდგომარეობაშია, როგორშიაც წარსულში იყო.**

„პირველ ყოვლისა საფრანგეთის ინტერესები“

ერრიოს სიტყვა ტრუაში

პარიზი. 8 ივლისი. ერრიომ ტრუაში წარმოსთქვა სიტყვა. შეეხო რა საფრანგეთ-იგლისის დამოკიდებულებას, ერრიომ განაცხადა, რომ მისი მეთოდია გამონახული იქნეს უპირველეს ყოვლისა ის, რაც აახლოვებს და არა ის, რაც აშორებს. შემდეგ ერრიომ სთქვა; „ჩემი მოვალეობაა ვიმუშაო, რომ უზრუნველვყო მშვიდობიანობა, **მაგრამ ამავე დროს მე არ უნდა დავარღვიო საფრანგეთის უფლებები და ინტერესები.** მშვიდობიანობის უზრუნველყოფა კი შეიძლება სარეპარაციო საკითხის გადაჭრით“.

ერრიოს სიტყვა ბანკეტზე.

პარიზი. 6 ივლისი. ბანკეტზე წარმოთქმულ სიტყვაში ერრიომ განაცხადა, რომ საფრანგეთის მთავრობის უმთავრესი ამოცანაა უზრუნველჰყოს საფრანგეთის ფინანსიური მდგომარეობა და დაამყაროს მშვიდობიანობა, ერრიომ აღნიშნა აგრეთვე, რომ ექსპერტთა გეგმები საუკეთესო საშუალებაა რეპარაციების მისაღებად. ლონდონის კონფერენციამ უნდა დაამყაროს შეთანხმება მოკავშირეთა შორის, განსაკუთრებით საფრანგეთ-ინგლისს შორის.

ერრიოს მტრები მუშაობენ

არ კარგამს.

ბერლინი, 8 ივლისი. „ტაიმს“-ი აღნიშნავს, რომ ინგლისის მემორანდუმით გამოწვეული აღშფოთება პარიზში რამოდენიმეთ შენელდა, მაგრამ საფრანგეთ-ინგლისის უთანხმოებას ერრიოს მტრები გამოიყენებენ მის ჩამოსაგდებათ. **პუანკარეს და მის მომხრეებს იმედი აქვთ, რომ 16 ივლისისათვის ისინი ჩამოაგდებენ ერრიოს და ჩაშლიან ლონდონის კონფერენციას.**

კომუნისტების გამოსვლა

კომუნისტები ამნისტიას მოითხოვენ.

ბერლინი. 8 ივლისი. ერრიოს შეხვედრის დროს ტრუაში კომუნისტები გარსშემოერტყენ ერრიოს ეტლს და იძახდენ: „მოვითხოვთ ამნისტიას ჩვენი ამხანაგებისათვის“. დამსწრე საზოგადოება კი უპასუხებდა: „გაუმარჯოს ერრიოს და რესპუბლიკას“. კომუნისტები არ უშვებდენ ეტლს. ბოლოს მოხდა შეტაკება პოლიციასთან.

მდგომარეობა გერმანიაში

ფაშიზმის თარეში

ბურჟუაზიული პრესის პოგრომული აგიტაცია.

ბერლინი, 6 ივლისი. რეიხსტაგის და ლანდტაგის კომუნისტურ ფრაქციების შენობებში მომხდარ ჩხრეკას გერმანიის ბურჟუაზიული გაზეთები სთვლიან, როგორც ოფიციალურ სიგნალს საერთო შეტევის დასაწყებათ კომპარტიის წინააღმდეგ. **მთელი ბურჟუაზიული პრესა პოგრომული აგიტაციას აწარმოებს.**

გაზეთი **„დეიტშე ტაგესცეიტუნგ“-ი იძულებულია აღიაროს, რომ ჩხრეკა ალბათ არავითარ შედეგებს არ გამოიღებსო.** „კომუნისტები, სწერს გაზეთი, მეტათ ფრთხილათ იქცევიან თავისი“, დოკუმენტების შედგენის დროს. **გაზეთი წინადადებას იძლევა დაუყონებლივ აკრძალული იქნეს კომპარტია და კომუნისტებს ჩამოერთვას ფრაქციული შენობები. „ფორვერტს“-ი ამართლებს რეიხსტაგის და ლანდტაგის თავმჯდომარეების მოქმედებას, რომლებმაც თანხმობა განაცხადეს ჩხრეკის მოხდენაზე.** „ფორვერტს“-ი აღნიშნავს, რომ კომპარტია მემარცხენე ელემენტების ხელმძღვანელობით „ანარქისტული ტერორიზმის“ გზით წავიდა.

ლანდტაგის სხდომაზე სახალხო პარტიის წარმომადგენელმა კემპემ მთელი პარტიის სახელით მოიწონა გამოსვლა კომპარტიის წინააღმდეგ.

სოციალ-დემოკრატი მინისტრი ფაშისტებს ელაქუცება.

ბერლინი, 6 ივლისი. პრესის შინაგან საქმეთა მინისტრმა, სოციალ-დემოკრატმა ზევერინგმა, გააუქმა ფაშისტურ-ტევტონურ გაზეთის „დეიტშე ცეიტუნგ“-ის აკრძალვა.

კომპარტიის მოთხოვნილება

ბერლინი 6 ივლისი. რეიხსტაგის კომფრაქციამ მოითხოვა რეიხსტაგის გარეშე საქმეთა კომისიის დაუყონებლივი მოწვევა შეცვლილ საერთაშორისო ვითარების განსახილველათ. კომპარტია ეყრდნობა მოკავშირეთა კონფერენციის მოწვევას ლონდონში, საფრანგეთის მოთხოვნილებებს უშიშროების გარანტიების შესახებ, რურის ოკუპაციას, რომელიც გრძელდება და დაბრკოლებებს, რომელთაც ადგილი აქვთ მოკავშირეების ინჟინერთა კომისიასთან წარმოებელ მოლაპარაკების დროს.

პრესის „თავისუფლება“.

ბერლინი, 6 ივლისი. ბავარიის ლანდტაგის კომისიამ უარყო კომუნისტების მოთხოვნილება ბავარიაში კომუნისტური პრესის აკრძალვის დაუყოვნებლივი გაუქმების შესახებ.

რურის ევაკუაციას მოითხოვენ

პარიზი. 8 ივლისი. ბერლინიდან მოსული ცნობით, გერმანიის სახალხო პარტიის კომიტეტმა მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც ნათქვამია, **რომ ექსპერტების მოხსენებები გერმანიისათვის მიუღებელია** რურის წინასწარი ევაკუაციის, საბაჟო საზღვრების გაუქმების და იმ ვალდებულებათა მოხსნის **გარეშე,** რომელიც გამომდინარეობს მიკუმთან მიღწეულ შეთანხმებიდან,

„დეილი ტელეგრაფი“ ამის შესახებ სწერს; „მაკდონალდის სურვილები ცუდათ იყო გაგებული გერმანიის მიერ, რომლის მოთხოვნილებანი დღითი დღე იზრდებიან“.

პანების სამეფოში

ნული უმცირესობანი უარს ამბობენ მოლაპარაკებაზე.

ავა, 6 ივლისი. სეიმის კო- . ეროვნულ უმცირესობათა როექტის შესახებ გამართულ მი, ეროვნ. უმცირესობათა ყვე- წარმომადგენლები კატეგორიუ- ილაშქრებდნენ კანონ-პროექტის ლმდეგ და აღნიშნავდნენ, რომ ნეთის მთავრობის მიერ გაღე- მოწყალება არ აკმაყოფილებს ენტარულ მოთხოვნილებებსაც როტესტის ნიშნად ეროვნულ რესობათა წარმომადგენლებმა ტოვეს კომისიის სხდომა. კანონ- ქტი მიღებული იქნა ეროვნულ უმცირესობათა მონაწილეობის გარეშე.

სკანდალი სასამართლოში.

ვარშავა, 6 ივლისი. სასამართლოს თავმჯდომარის არა მიუდგომელმა საქციელმა კრაკოვის პროცესში, დიდი აღშფოთება გამოიწვია დამცველთა შორის. პოლონეთის სოც. პარტიის დეპუტატი ლიბერმანი, თავმჯდომარესათვის შენიშვნის მიცემის გამო, დაჯარიმებულ იქნა 200 ოქროს მარკით. სასამართლომ დაადგინა მოსთხოვოს სეიმს ლიბერმანის პროკურატურაზე გადაცემა სასამართლოს შეურაცხყოფისათვის.

მატეოტის მოკვლის გარშემო

გვამის ძებნა განაახლეს.

ომი. 8 ივლისი. „ჯიორნალე ტალია“ იტყობინება, რომ იტა- ს ხელისუფლებამ მიაგნო ახალ ის მატეოტის მოკვლის საქმის ახებ.

ერლინი. 8 ივლ. რომიდან მიღე- ცნობების თანახმად, განახლდა ტეოტის გვამის ძებნა. გაცემუ- ა ბრძანება ახალ დაპატიმრებათა დენის შესახებ.

იტალიის სოციალისტური პარტია 25,000 ლირას აძლევს იმას, ვინც იპოვის მატეოტის გვამს.

მთავრობა იარაღს აძლევს ფაშისტებს.

რომი. 6 ივლ. იტალიის ოპოზიციონურ გაზეთების ცნობით, უკანასკნელ ხანებში ბევრი კერძო პირები—ფაშისტურ პარტიის წევრები იარაღს იღებენ მთავრობისაგან.

კოლონიები ებრძვიან დამპყრობელებს

ესპანელების დამარცხება.

რომი. 8 ივლისი. მაროკკოდან ღებულ ცნობების თანახმად, ადგი- ობრივმა მცხოვრებლებმა ალყა ემოარტყეს ესპანეთის რაზმს. გაქ- ევის დროს ესპანელებმა დაკარგეს რავალი ჯარისკაცები.

ბერლინი. 8 ივლისი. პარიზის გა- ზეთები იტყობინებიან, რომ კაბი- ლებთან შეტაკების დროს ესპანელებს მოუკლეს მრავალი ჯარისკაცები.

რომი. 8 ივლისი. მაროკკოდან მი- ღებულ ესპანეთის ოფიციალურ ცნო- ბაში ნათქვამია, რომ დასავლეთის ზონაში ესპანეთის რაზმსა და კაბილებს შორის მოხდა სისხლისმღვრელი შეტაკება.

ბერლინი. 7 ივლისი. პარიზიდან მიღებულ ცნობების თანახმად, მაროკკანელებთან შეტაკების დროს ესპანელებს მოუკლეს მრავალი ჯარისკაცები.

ბერინგერის განთავისუფლება.

ბერლინი. 8 ივლისი. ამნისტიის ძალით სასჯელისაგან განთავისუფლებულია ესპანეთის ჯარების სარდალი მაროკკოში ბერინგერი. მას უფლება ეძლევა დაუბრუნდეს თავის თანამდებობას.

სხვადასხვა ამბები

— **600.000 გაფიცული.** ინგლისში დაიწყო ბინების ამშენებელ მუშათა გაფიცვა. გაფიცულია 600.000 ცი.

— **ნდობა შტრეზემანს.** გერმანიის ლხო პარტიის ყრილობაზე შტრე- ნს ნდობა გამოუცხადეს და პარ- ს ლიდერათ აირჩიეს.

ბრძოლა რეაქციასთან. ბერ- ში რეაქციონერებსა და კომუნის- შორის შეტაკებები მიხდა. ნიმე რეაქციონერი დაიჭრა.

აჯანყება ბრაზილიაში. რიო- ნეიროში (ბრაზილიის სატახ- ქალაქია) სამხედრო აჯანყებამ ჯარისკაცებმა განდევნეს და შესწყვიტეს რკინის ვლა.

ინალდი პარიზს მიეშუ- ონალდი პარიზს მიემგ- არიოსთან მოსალაპარაკებ-

— **ესპანელებს მოსცხეს.** პარიზიდან მიღებული ცნობებით, ესპანეთის ჯარები სასტიკად დამარცხდნენ მაროკოში.

— **გაფიცვები იაპონიაში.** გაფიცვები იაპონიაში ფართე ხასიათს იღებენ. ქ. ოსაკაში გაიფიცენ ტრამვაის მოსამსახურეები. შტრეიკბრეხერების დასაცავად მოიწვიეს 1.500 პოლიციელი.

— **მოხელეები უკმაყოფილო არიან** გერმანიის რეიხსტაგმა სახელმწიფო უმაღლეს მოხელებს 80 პროცენტით გაუდიდა ხელფასი დაბალ მოსამსახურეებს კი 2—3 მარკით. რეიხსტაგის დადგენილების წინააღმდეგ ბერლინის პოლიციის თანამშრომლებმა სასტიკი პროტესტი განაცხადეს.

— **პურის მცხობელებმა გაიმარჯვეს.** პარიზის პურის-საცხობების მუშათა გაფიცვა გამარჯვებით დამთავრდა.

კომინტერნის მსოფლიო კონგრესი

7 ივლისის დილის სხდომა.

კამათი პროფესიონალურ მოძრაობის შესახებ გაკეთებულ მოხსენების გამო

სხდომაზე იმართება კამათი პროფმოძრაობის საკითხის გარშემო. გერმანიის წარმომადგენელი ამხ. **ხელიგი** აღნიშნავს, რომ კაპიტალის შემოტევა არ შეჩერებულა. გერმანიაში მდგომარეობა გამწვავდება. ლოზუნგი გამოსვლის შესახებ საშიშია. საჭიროა ენერგიული მუშაობა რეფორმისტულ პროფკავშირებში მასების გარევოლიუციონერების მიზნით.

ჩეხო-სლოვაკიის წარმომადგენელი ამხ. **კლონი** აღნიშნავს, რომ „პროფმოძრაობის მთლიანობა“ მშვენიერი ლოზუნგია და ამ ლოზუნგს გაჰყვება მთელი მასსა.

საფრანგეთის წარმომადგენელი ამხ. **სემარი** აღიარებს, რომ საფრანგეთის პარტია საკმარის ყურადღებას არ აქცევდა პროფკავშირებში მუშაობას მაგრამ ზოგიერთ ქალაქებში მან მიაღწია თვალსაჩინო გამარჯვებას. პარიზის 80 პროფკავშ. 76 იმყოფება კომპარტიის გავლენის ქვეშ. ამხ. სემარე აღნიშნავს, რომ საფრანგეთის პროფკავშირების განხეთქილებამ შეასუსტა პროფესიონალური მოძრაობა. რეაქციის წინააღმდეგ ბრძოლის ერთად-ერთ საშუალებად ითვლება ერთიანი პროფმოძრაობა.

იტალიის წარმომადგენელი ამხ. **ბორდიგა** აღნიშნავს, რომ იტალიის მემარცხენე ფრთა ყოველთვის ილაშქრებდა პროფკავშირებიდან გამოსვლისა და დამოუკიდებელ პროფკავშირების მოწყობის წინააღმდეგ.

ამხ. **ზინოვიევი**, რომელიც შეჩერდა ბოლშევიკების მიერ პროფკავშირების მუშაობის მიმართ დაკავებულ პოზიციაზე, აღნიშნავს, რომ ბოლშევიკებს არასოდეს **არ** გამოუწვევიათ განხეთქილება რუსეთის პროფკავშირებში. პროფკავშირების მთლიანობა ბოლშევიზმის ერთერთი მნიშვნელოვანი საფუძველია. ლენინიზმი მდგომარეობს რევოლიუციონური მარქსიზმის პროლეტარიატის მასსიურ ორგანიზაციების იდეასთან დაკავშირებაში. რაც უფრო ახლოვდება პროლეტარული რევოლიუცია, მით უფრო სცდილობენ სოციალ-დემოკრატები განხეთქილება გამოიწვიონ პროფკავშირებში. რაც უფრო გაძლიერებენ სოციალ-დემოკრატები პროპაგანდას განხეთქილების სასარგებლოთ, მით უფრო ენერგიულათ უნდა დაიცვან კომუნისტებმა პროფმოძრაობის მთლიანობა. შეუძლებელია მუშების უმრავლესობის დაპყრობა, თუ სათანადო მუშაობა არ იქნა წარმოებული პროფკავშირებში. კომუნისტების გამორიცხვა პროფკავშირებიდან, ეს კიდევ არ არის მთლიანობის წინააღმდეგ გალაშქრების საბუთი. სოციალ-დემოკრატები მიტომ გვრიცხავენ ჩვენ პროფკავშირებიდან, რომ ეშინიათ ჩვენი. ლოზუნგი პროპკავშირებიდან გამოსვლის შესახებ ნიშნავს ეხლანდელი მუშათა მოძრაობიდან გამოსვლას.

ამერიკის წარმომადგენელი ამხ. **გენი** აღნიშნავს, რომ ამერიკაშიც აგრეთვე ადგილი აქვს მუშების გამოსვლას პროფკავშირებიდან. სანამ ეს მდგომარეობა არ მოისპობა, მანამდი მასიური პარტიის შექმნა ამერიკაში შეუძლებელია.

ამხ. **რუტ ფიშერი** აღნიშნავს, რომ გერმანიის პარტია ენერგიულათ იბრძოდა პროფკავშირებიდან გამოსვლის წინააღმდეგ, მაგრამ მუშათა მასები, რომლებიც უკმაყოფილო არიან კავშირების ბიუროკრატების პოლიტიკით, განწყობილი არიან პროფკავშირებიდან გამოსვლის სასარგებლოთ და მათ განზრახვა აქვთ შექმნან ახალი პროფკავშირები. საჭიროა ბრძოლა ასეთი განწყობილების წინააღმდეგ. მაგრამ პროფმოძრაობის მთლიანობის აღდგენის კომპანიის დაუყოვნებლივი გატარება ნაციონალური და საერთაშორისო მასშტაბით ჯერჯერობით სახიფათოა. საჭიროა ეს საკითხი წინასწარ დამუშავებული იქნეს პარტიის შიგნით.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

ჩვენი საგარეო ვაჭრობა.

მოსკოვი. 8 ივლისი. მაისში საბჭოთა კავშირიდან საზღვარ-გარეთ გატანილ იქნა საქონელი 24 მილიონ მანეთისა, უმთავრესად პურის პროდუქტები და ნედლი მასალა. საბჭოთა კავშირში შემოტანილია 15 მილიონი მანეთის საქონელი, უმთავრესად ლითონები და ქიმიური პროდუქტები.

შრომის ნაყოფიერების და ხელფასის გამოკვლევა.

მოსკოვი. 8 ივლისი. სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს და სრულიად რუსეთის პროფკავშირთა საბჭოს წარმომადგენელთა თათბირმა დაადგინა შედგენილ იქნას ცენტრალური კომისია შრომის ნაყოფიერების და ხელფასის გამოსაკვლევად. გამოკვლევა გავრცელდება 27 ფაბრიკა-ქარხანაზე საბჭოთა კავშირის ცენტრალურ ქალაქებში.

აღმოსავლეთის კომუნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა გამოშვება.

მოსკოვი. 8 ივლისი. აღმოსავლეთის ამხ. სტალინის სახელობის კომუნისტური უნივერსიტეტი მიმდინარე წელს დაამთავრა 172 კაცმა. მათ შორის არიან 35 ეროვნების წარმომადგენლები: ოსები, აფხაზები, ჩეჩნები და სხვ. კურს-დამთავრებულებიდან უმეტესობა რუსეთის კომპარტიის და ახკომკავშირის წევრები და კანდიდატებია. კურსდამთავრებულები მიემგზავრებიან განაპირა ეროვნულ რესპუბლიკებში პასუხსაგებ პარტიულ, საბჭოთა და კულტურულ საგანმანათლებლო მუშაობის საწარმოებლად.

მასწავლებლობა პარტიასთანაა.

ეკატერინოსლავი. 8 ივლისი. იმ შენობის წინ, სადაც საგუბერნიო კომიტეტის პლენუმის სხდომები იმართება, მასწავლებლებმა მოაწყვეს დემონსტრაცია. მასწავლებლებმა განაცხადეს, რომ ისინი ერთგული არიან კომპარტიის და პლენუმს გადასცეს წითელი დროშა.

ქორწინების გაჯანსაღება.

პენზა. 8 ივლისი. პენზის აღმასკომმა დაადგინა დაევალოს ყველა იმათ, ვინც ცოლს ირთავს, წარმოადგინონ „მმაჩ“-ში ექიმის მოწმობა ვენერიული ავადმყოფობის უქონლობის შესახებ.

ძლიერი ქარიშხალი.

ვერხნეუდინსკი. 8 ივლისი. ვერხნეუდინსკზე გადაიარა ძლიერმა ქარიშხალმა. ქალაქში ელვის მიერ მოკლულია 7 კაცი.

ნათესების მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია

მოსკოვი, 8 ივლისი. მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის ცნობით 30 ივნისისათვის, უკანასკნელ 10 დღის განმავლობაში გვალვამ დაიკლო სიცხე განელდა. ჩრდილოეთის რაიონში გრილა, სამხრეთის რაიონში თბილა, ტემპერატურა ნორმას უახლოვდება. წვიმების შემდეგ გაუარესება არ დატყობია. უკრაინის უდიდეს ნაწილში, სამხრეთ აღმოსავლეთის ოლქში და სამხრეთ „პოვოლოჟიეში“ წვიმები არ მოსულა. **ვოლგის ქვემო სანაპიროებში, დნეპრის ნაპირებზე, მოვიდა წვიმები. ბლომად წვიმა მოვიდა კავკასიაში, სადაც ნათესების მდგომარეობა ცოტაოდნად გამოსწორდა. საბჭოთა რუსეთის ჩრდილოეთ ნახევარში წვიმა საკმარისი** იყო, ხოლო ზოგიერთ ადგილებში ზედმეტიც. ნათესების მდგომარეობა მაინც და მაინც არ შეცვლილა.

ნათესების მდგომარეობა 30 ივნისისათვის შემდეგია:

ჩრდილოეთ ნაწილში შემოდგომის ნათესები საშუალოა, ალაგ-ალაგ საშუალოზე ნაკლები, ჭვავი მწიფდება. **გაზაფხულის ნათესების მდგომარეობა საშუალოა.** ჩრდილოეთ-დასავლეთის ოლქში შემოდგომის ნათესები მარცვალს იკეთებს, **მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. გაზაფხულის ნათესები ჯეჯილდება. მდგომარეობა საშუალოა.** ჩრდილო-აღმოსავლეთის ოლქში შემოდგომის ნათესები დამაკმაყოფილებელია, მარცვალს იკეთებს. გაზაფხულის ნათესების მდგომარეობა ცოტათი უარესია. **საერთოდ მდგომარეობა კი დამაკმაყოფილებელია. დასავლეთის ოლქში შემოდგომის ნათესი საშუალოა, ალაგ-ალაგ საშუალოზე უკეთესია და კარგი.** გაზაფხულის ნათესების მდგომარეობა სამხრეთ-აღმოსავლეთის ნაწილში საშუალოზე ნაკლებია. **ცენტრალურ ოლქში შემოდგომის ნათესების მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია, ჩრდილო-აღმოსავლეთის ოლქში საშუალოზე უკეთესი.** შემოდგომაზე დათესილი ჭვავი მარცვალს იკეთებს. **გაზაფხულის ნათესი ჩრდილოეთის ნახევარში დამაკმაყოფილებელია.** ტულას და რიაზანის გუბერნიებში გვალვის გამო საშუალოზე ნაკლებია. შავ-ნიადაგიან ოლქის ქვემო ნაწილში შემოდგომის ნათესები კრელია, მწიფდება, ვორონეჟის გუბერნიის სამხრეთ-აღმოსავლეთის ნაწილში ალაგ-ალაგ დაიწყო პურის გაჭრა. შემოდგომაზე დათესილ ხორბლის მდგომარეობა ცოტათი უარესია, ვიდრე ჭვავის. გაზაფხულზე დათესილი შვრია, ხორბალი, ქერი, საერთოდ საშუალოზე ნაკლებია. კურსკის გუბერნიის სამხრეთ-აღმოსავლეთის მაზრებში, ვორონეჟის გუბერნიის სამხრეთ მაზრებში და ალაგ-ალაგ ორიოლის და ტამბოვის გუბერნიებში ბალახი ცუდია. **ვოლგის ზემო სანაპიროებში შემოდგომის ნათესები საშუალოა.** ალაგ-ალაგ საშუალოზე ნაკლებია. გაზაფხულის ხორბალი და შვრია ცოტათი ნაკლები საშუალოზე. კართოფილი საშუალო. ბალახები საშუალოდან კარგამდე. ვოლგის შუა სანაპიროებზე, ოლქის ჩრდილოეთის ნაწილში—შემოდგომის ნათესები საშუალოა, სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთის ნაწილში—საშუალოზე ნაკლები. გაზაფხულის ნათესი საშუალოზე ნაკლები. სამარის გუბერნიის სამხრეთ ნაწილში ცუდი. შვრია—დამაკმაყოფილებელიდან—კარგამდე. კართოფილი საშუალო. ბალახი ცუდიდან—საშუალოზე უკეთესამდე. ვოლგის ქვემო სანაპიროებზე შემოდგომის ნათესი საშუალოზე ნაკლები, სარატოვის გუბერნიის დასავლეთ ნახევრის გარდა, სადაც დამაკმაყოფილებელია. ძალიან ცუდია ან სრულიად დაიღუპა სარატოვის გუბერნიის ვოლგას იქითა ნაწილში, ცარიცინის და ასტრახანის გუბერნიებში აგრეთვე. გაზაფხულის ნათესების ცუდი მდგომარეობა უფრო ფართოა, გარდა ზემოდჩამოთვლილ პენზას და ნაწილობრივ სარატოვის გუბერნიებისა...

სარატოვის გუბერნიის ჩრდილო-დასავლეთის ნაწილში ნათესების მდგომარეობა დაკლებულია. შვრია, მზესუმზირა, კართოფილი საერთოდ საშუალოზე ნაკლებია. ბალახი საერთოდ ცუდი. სამხრეთ-აღმოსავლეთის ოლქში სჭრიან შემოდგომაზე ნათეს პურს. საერთო მდგომარეობა კრელია, გარდა ყუბანის და ნიჟნი დონისა, სადაც იგი დამაკმაყოფილებელია. ოლქის აღმოსავლეთ - ნაწილში ცუდია. გაზაფხულის ნათესების მდგომარეობა შემდეგია: შვრია საშუალოზე ნაკლებია, სიმინდი საშუალო, მზესუმზირისა ცუდიდან საშუალომდე. ყირგიზეთის რესპუბლიკაში ორენბურგის რაიონში და აქტიუბინსკიდან ეგბამდე—ცუდია ან საშუალოზე ნაკლები. გაზაფხულის ნათესები ამ რაიონში აგრეთვე დაკლებულია. კუსტანაის, სემიპალატინსკის, აკმოლონის შემოდგომის და გაზაფხულის ნათესები საშუალოა, საშუალოზე ნაკლებიც კი და კარგია ყირგიზთა რესპუბლიკის აღმოსავლეთ ნაწილში.

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

საქართველო

გვალვა და სეტყვა

სოფ. დიდ ლილოში წრეულს თითქმის სულ გვალვა, იყო, გადახმა და გაფუჭდა ყანები, დაშრა პატარა წყლები. გვალვას თან მოჰყვა მეორე უბედურება. 12 ივნისს ნაშუადღევის ორ საათზე მოვიდა დიდი კაკლის სიმსხო სეტყვა, რომელმაც გასტანა 2 საათს. ჯერ გვალვამ გააფუჭა ყანები და მიწის მოსავალი, ახლა სეტყვამ სავსებით გაანადგურა და დააზარალა ყველაფერი. აქ არ არის ტყე, რომ ფოთლებით მაინც გამოკვებონ საქონელი, რომელიც მშიერ-მწყურვალი დაბლავის მიდამოებში.

სომხეთი

კოოპერაციის დღე ერევანში.

ერევანი, 7 ივლისს საერთაშორისო კოოპერაციის დღეს ქალაქი დილიდანვე მოირთო დროშებით და პლაკატებით, რომელზედაც დაწერილი იყო ამ დღის მნიშვნელობისათვის მიძღვნილი ლოზუნგები. დილიდანვე ხალხი თავს იყრის მუშკოოპის მაღაზიების და დუქნების წინ.

მუშკოოპს ერევანში აქვს 14 დუქანი, 3 სასადილო და 1 პურის საცხობი 60 ფუთით. წევრების რიცხვი უდრის 3.000 კაცს. საქონლის 75 პ. მუშკოოპი ყიდის თავის წევრებზე 10-20 პროც. შეღავათით. თვიური ბრუნვა უდრის 200.000 მან. განზრახულია ახლო მომავალში საქონლის ბრუნვა აყვანილი იქნეს 800.000 მან., ზედდართული ხარჯები კი—5 პროც. თვეში.

სამხედრო კოოპერატივს სომხეთში აქვს 6 დუქანი და მას მჭიდრო კავშირი აქვს „აიკოპთან“. განზრახულია გახსნილი იქნეს ახალი დუქანი და სასადილო ერევანში და განყოფილება ნახიჩევანის რესპუბლიკაში. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სომხეთის კოოპერაციას სომხეთში მეთამბაქოების საქმის განვითარებაში; „აიკოპი“ ეხლა ყოველ თვიურათ ამზადებს 1.600.000 პაპიროსს. „აიკოპს“ აქვს თამბაქოს პლანტაცია, რომლის სივრცე უდრის 20 დეს. პოპულიარიზაციის მიზნით „აიკოპი“ გლეხებს ურიგებს თამბაქოს თესლს. გამოირკვა, რომ მეთამბაქოებას სომხეთში დიდი ეკონომიური ნიადაგი აქვს.

აზერბეიჯანი

შემნახველი კასების მუშაობა.

ბაქო, 7 ივლისი. სახელმწიფო შემნახველი კასების მუშაობა ძლიერ ფართოვდება: 1-ლ აპრილისათვის შემნახველთა რიცხვი უდრიდა 523, რომელთა თანხა შეადგენდა 12.509 მ. 1 მაისისთ. შემნახველთა რიცხვი უდრის 675; მათი თანხა შეადგენდა 18.508 მან. 1-ლ ივნისისათვის შემნახველთა რიცხვი უდრიდა 932, მათი თანხა კი 25.818 გახსნის დღიდან დღევანდლამდი, კასების ბრუნვა გამოიხატება 191. 972 მან.

სოციალური შემადგენლობის მიხედვით, შემნახველების უმრავლესობას შეადგენენ მუშები. ბაქოში და მის რაიონებში მუშაობს 4 შემნახველი კასა, გარდა ფოსტა-ტელეგრაფის კანტორებისა. დაწყებულია მუშაობა კასების მოსაწყობათ განჯის, ნუხის და აღდაშის მაზრებში. „აზნეფტმა“ და საბუნჩის რაიონის საბჭომ მოაწყვეს საშუამავლო კანტორები. „აზნეფტმა“ და ბაქოს საბჭომ წინადადება მისცეს თავის ქვემდებარე დაწესებულებებს და წარმოებებს მოაწყონ საშუამავლო კასები. ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატთან არსებულ შემნახველ კასების სამმართველოს წინაშე აღძრულია შუამდგომლობა კასების ოპერაციების გაფართოვების შესახებ.

მესაქონლეობა აზერბეიჯანში.

ბაქო, 7 ივლისი. აზერბეიჯანში მესაქონლეობის განვითარებისა და გაუმჯობესების მიზნით უმაღლესმა ეკონომიურმა საბჭომ დაადგინა: 1) წინადადება მიეცეს სასოფლო-სამეურნეო ფაკულტეტს წარადგინოს ხარჯთ-აღრიცხვა და გამონახოს ადგილი მესაქონლეობის საცდელი სადგურის მოსაწყობათ; 2) შესწავლილ იქნეს ცნობილი ჯიშიანი საქონლის მოშენება აზერბეიჯანში; 3) წინადადება მიეცეს მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატს, აზერ. სახელმ. სას.-სამ. ბანკს და ცენტრალურ სას.-სამ. კოოპერატივს მოაწყონ ყველა მაზრებში მესაქონლეობის გაერთიანებები ანდა ამხანაგობები; 4) წინადადება მიეცეს მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატს გააძლიეროს ბეითალთა რიცხვი მაზრებში, 5) გაფართოვებულ იქნეს საქონლის შეხვედრის პუნქტების ქსელი, 6) დავალოს სახელმწიფო გეგმათა სამმართველოს განიხილოს საკითხი სპეციალური ფონდის შექმნის შესახებ, რომელიც უნდა მოხმარდეს მესაქონლეობის გაუმჯობესებას მეცხვარეების ამიერ-კავკასიის თათბირის დადგენილებების საფუძვლებზე.

აზერბეიჯანი

საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის წლის თავი.

ბაქო. 8 ივლ. ცენტრალურ პარტიულ კლუბის დიდ დარბაზში შედგა ბაქოს საბჭოს გაფართოვებული სხდომა აზერბეიჯანის ცაკისა, სახალხო კომისართა საბჭოსი და პარტიულ, პროფესიონალურ, საბჭოთა და მუშათა ორგანიზაციებთან ერთად, რომელიც მიძღვნილი იყო საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის წლის თავისათვის. პრეზიდიუმს დაევალა მისასალმებელი დეპეშები გაუგზავნოს საბჭოთა კავშირის ცაკს და სახალხო კომისართა საბჭოს.

მის თუ რაიონის აღმასკომი *)

თხის მოკლე ისტორია

ართველოს გასაბჭოების ხანაში ბში სტიქიურად შეიქმნა რაიო- და თემების რევკომები. მათი ლე რევოლიუციის ხანაში რა- რია მიზანშეწონილიც იყო, ს უფრო სამხედრო რევო- ნური ზომა იყო, ვიდრე ად- ატიულ-აღმშენებლობითი. სა- აღმშენებლობის ხანაში (სა- ქო ომის შემდეგ) თემის რევ- (აღმასკომები) ძალიან უძლურ- მოჩნდენ. რამდენიმე თემების ბის გადათვალიერებამ ქუთაი- შორაპნისა, ოზურგეთისა, გო- , თბილისისა და სხვა მაზრებში აგვარწმუნა, რომ იქ შესავალ-გასა- ლი ქაღალდების რიცხვი არ აღე- ბებოდა 30-50-ს თვეში,—მათგან პროც. არ ეხებოდა თემის ფუნქციას. რაც შეეხება ადგილობრივ ლმშენებლობითი მუშაობას, რა თქმა ლა ასეთს თემის აღმასკომი ვერ არმოებდა, რადგან არც შეძლება ნოდა ამისთვის, არც სათანადო მოცდილი პირები ჰყავდა და არც ერიტორიალური სიფართოვე უწობდა ხელს. გზები, ხიდები, სკოები, არხები და სხვა ასეთი ეკოომიურ-კულტურული აღმშენებლობის საკითხები გაცილებით უფრო ფართონი იყვნენ, ვიდრე თემის ფარგლები და ეკონომიურ კულტურული შესაძლებლობა. მაგალითად, ხონის რაიონში მათხოჯის არხის გაყვანა შესაძლებელი გახდა მხოლოდ გარაიონების შემდეგ, რადგან წინად სხვა-სხვა თემები ამ საქმეში ვერ თანხმდებოდნენ. (ამავე რაიონის თავმჯდომის კაჭანდაძის განცხადება).

თემი ვერ წარმოადგენდა ეკონო- რ ერთეულს. მას არ ჰქონდა თა- ი საბაზრე ადგილი, მსხვილი მი- ის ფონდი; მას არ მოეპოვებოდა ეკონომიურად ადგილობრივ მცხოვრებთა მიმზიდავი ცენტრი და სხვა. მაგალითად, ხონის რაიონის ყველა თემები მოდიოდენ ხონში ყიდვა-გაყიდვის წარმოებისათვის. ასეთსავე მდგომარეობაში იყვნენ თემები სხვა მაზრებშიც. მაგალითად, შორაპნის მაზრაში საჩხერის რაიონი, ჭიათურის რაიონი და სხვები.

ამის გამო თემის აღმასკომი, როგორც კულტურულ-ეკონომიური ორგანიზაცია, თანდათან კვდებოდა და **წარმოადგენდა მხოლოდ მოწმობების გასაცემ ორგანოს.** აგრეთვე ხშირად ერეოდა სახალხო სასამართლოს საქმეში და ითვისებდა სასამართლოს ფუნქციებს. რამდენადაც სახალხო სასამართლოები მომაგრდნენ, იმდენად თემის აღმასკომს უფრო შეუმცირდა თავისი სამუშაო. თემს არ ჰქონდა სათანადო ბიუჯეტი და არც შეეძლო მისი შექმნა. თემის აღმასკომს არ გააჩნდა აგრეთვე შეიარაღებული ძალა, რადგან მაზრაში სულ 80—100 მილიციელი იყო (საკომანდო შემადგენლობით) და ეს რიცხვი რომ 30—40 გაგვეყო (მაზრებში საშუალო რიცხვი თემებისა), თითო თემს შეხვდებოდა 2 ან 3 კაცი. ვინც იცის ადმინისტრატიული მუშაობა, მისთვის ცხადია, რომ ასეთი რიცხვი ვერც ყაჩაღებს შეაშინებს და ვერც რაიმე ძალას წარმოადგენს. მათი გაწვრთნა არ შეიძლება არც პოლიტიკურად და არც სპეციალურად. მილიცია არის შეიარაღებული რაზმი. ის უნდა იყოს მუდამ ჯგუფად და მეთაურის ხელმძღვანელობის ქვეშ. სხვარიგად ის გადაიქცევა თოფებიან მდაბიორებად და დაეკარგება რევოლიუციონურ წესრიგის დამცველის ილაჯი. ასე მოხდა გურიაში, სადაც 1922 წლიდან მილიცია დაანაწილეს თემებში. ის დაიქსაქსა და დაჰკარგა თავისი ელფერი პოლიტიკურადაც და მორალურადაც. ამიტომ იქ თავი მოიყარეს საქართველოს ყველა ნაძირალებმა და დაიწყეს თარეში. მათ ასალაგმავად ადგილობრივი მილიცია არ გამოდგა და მივმართეთ სხვა საშუალებას. ასეთივე მაგალითი იყო სიღნაღის მაზრაში, სადაც მილიცია თემებში დაანაწილეს. თემის აღმასკომს არ გააჩნდა არც ტეხნიკური ძალა საქმეთა კანონიერ მოსაგვარებლად. იქ ხშირად მოიკალათეს ძველმა „მოსე მწერლებმა“, რომლებიც ფაქტიურად სჯიდენ საქმეს. თემების 90 პროცენტში არ იყო არც კოლეგიები. მთელ საქმეს განაგებდენ თავმჯდომარე და მისი მწერალი (წოდებული მდივნად). ძალიან ცუდათ იყო აგრეთვე ჯამაგირების საქმე. ხშირად რამდენიმე თვეს თემის აღმასკომის თავმჯდომარე და მდივანი უჯამაგიროთ იჯდენ; რაც შეეხება აღმასკომის წევრებს, მათ ჯამაგირს არავინ არ აძლევდა და არც მუშაობდენ. ამ უკანასკნელებს არც მუშაობა შეეძლოთ, რადგან ისინი ხშირად წერა-კითხვის უცოდინარნი იყვნენ, და კიდეც რომ შესძლებოდათ მუშაობა—მათთვის სამუშევარი თემში არ იყო. თემის ფარგლებში არ იყო არც პარტკომი, რადგან ჩვენ სოფლებში კომუნისტები ძალიან ცოტა არის. ეს გარემოება კი აღმასკომის მუშაობას პარტიის კონტროლის [illegible]

ფართოვების შესახებ დადგენილება. ვოლოსტი გააფართოვეს და დაარქვეს: „რაიონული ვოლოსტი“ (Районная волость). თუ რამდენად გაიზარდა ტერიტორია, ამის შესახებ ცნობები არა მაქვს. მხოლოდ ეხლა სწარმოებს იქ ამის გამოკვლევა და ჩქარა მივიღებთ შედეგებს. მაგრამ თავის თავად ცხადია, რომ „რაიონის ვოლოსტის“ ტერიტორია და მცხოვრებთა რიცხვი გაცილებით მეტი იქნება, ვიდრე იყო „ვოლოსტისა“.

ასეთივეა სურათი უკრაინაში, ბელორუსიაში, ციმბირში (იქ ვოლოსტი ჩვენ მაზრებს უდრის ტერიტორიით), აზერბეიჯანში და სომხეთში. ამ ორ უკანასკნელ რესპუბლიკებში ვოლოსტის მაგიერ არსებობს „უჩასტოკი“. მაშ რატომ ითხოვს გურული გლეხი ყოველ ეზოში კანცელარიას?

ყოველივე ამ მასალებისა და ჩვენში არსებულ მდგომარეობის გამო, ჩვენ მივედით შემდეგ დასკვნამდე:

1. ადმინისტრატიული მმართველობა უნდა მოეწყოს ეკონომიურ ცენტრებში, სადაც არის მილიცია, გზები, კავშირის (ტელეფონი, ტელეგრაფი) საშუალებანი, სასამართლო და პარტკომი.

2. ხელისუფლებას უნდა ჰქონდეს მეტი გასაქანი და ეკონომიური შესაძლებლობა.

3. შემცირდეს შტატი და განიტვირთოს ხაზინა უნაყოფო ხარჯებისაგან.

4. გაძლიერდეს კავშირი მაზრისა და მის ქვემდებარე აღმასრულებელ ორგანოს შორის და სათანადო დონეზე დადგეს მათი ხელმძღვანელობა და კონტროლი.

5. უფრო აქტიური იყოს სოფლის (თემის) საბჭოს მუშაობა და ჩაება საბჭოთა აღმშენებლობაში გლეხი—პოლიტიკურად და კლასობრივად განუვითარებელი ელემენტი.

6. გავაჯანსაღოთ თვით აპარატი მუშაკთა შერჩევით, რაც თემების აღმასკომების სიმრავლის გამო შეუძლებელია.

7. შეიქმნას უფრო ავტორიტეტიული აღმასრულებელი ორგანო, ვიდრე თემის აღმასკომი.

8. სამუშაო მასალის რაოდენობა და ღირსება იქნეს უფრო შეფარდებული ენერგიისა და მატერიალურ ხარჯებთან, რადგან თემს ცოტა სამუშაო აქვს, განსაკუთრებით მის შემდეგ, რაც მოეწყო მილიცია, სასამართლო, მიწკომები, ფინორგანოები და სხვა.

9. შეეფარდოს საბჭოთა აპარატების სისტემა მეზობელ რესპუბლიკების მმართველობის აპარატს.

პარტიული ძალები სოფლად ცოტაა, თემში ძვირად მოიპოვება. არსებობს მხოლოდ რაიპარტკომები. აქვე უნდა იყოს ადმინისტრატიული აპარატიც მის კონტროლ ქვეშ.

ყოველივე ამას ბოლო დროს დაემატა ერთი გარემოება: თანახმად რუსეთის ფინსახკომის შუამდგომლობისა, „სტო“-მ (Совет Труда и обороны) დაამტკიცა რაიონულ ვოლოსტის ბიუჯეტის შემოღება. ამ საკითხის გარშემო იქ დიდი კამათი იყო და მივიდენ იმ დასკვნამდე, რომ როგორც რესპუბლიკას, გუბერნიას და მაზრას, ისე „ვოლოსტს“ უნდა ჰქონდეს თავისი ბიუჯეტი, რადგან საფინანსო საქმე საკავშირო ორგანოების ფუნქციაა; რა თქმა უნდა ეს საქმე ჩვენშიაც გატარდება. ხოლო, გატარება შეიძლება მხოლოდ რაიონის მასშტაბით და არა ყოფილი თემისა. ამის მტკიცებაც-კი ზედმეტია.

მიიღო-რა ყოველივე აღნიშნული გარემოება მხედველობაში, შინაგან საქმეთა კომისარიატმა შეიმუშავა საბჭოთა ხელისუფლების ძირითადი აპარატების რეორგანიზაციის გეგმა და დაწვრილებითი განმარტების ბარათით გაუგზავნა მაზრებს შარშან ზაფხულზე და დაავალა მათ გამოეთქვათ თავიანთი აზრი. **მაზრებს ევალებოდათ თვით თემებში გაეტარებიათ ასეთივე კამპანია. დავალება შესრულებულ იქნა და მაზრებმა გვიპასუხეს დაყენებულ საკითხზე დადებითად:** თანაც გამოსთქვეს სურვილი პროექტის ჩქარა გატარებისა ცხოვრებაში. წინააღმდეგ გამოვიდენ მხოლოდ ქუთაისი (პირველად, მერე დაგვეთანხმა ამხ. დ. ლორთქიფანიძე) და ოზურგეთი (მაზრის აღმასკომის ნაწილი). საკითხის ამ რიგ გაცნობის შემდეგ მოწვეულ იქნა მაზრის აღმასკომების თავმჯდომარეთა და მათ მოადგილეთა საერთო კონფერენცია. უკანასკნელმა გამოაცხადა თავისი სრული კმაყოფილება პროექტით (წინააღმდეგი იყო მხოლოდ ამხ. ლამბაროვი, რომელიც წარმოადგენდა მგონი ცეკავშირს, მაგრამ არა მაზრას ან ცენტრს). ამის შემდეგ პროექტი გარჩეულ იქნა ყრილობაზე და მიღებული დიდი უმრავლესობით (212 ხმა—15-ის წინააღმდეგ). საკითხის გასარჩევ კომისიაში შედიოდენ ყოველი მაზრის წარმომადგენელნი. ამ რიგად პროექტი გატარდა ცხოვრებაში და იქცა სინამდვილედ.

საკითხი ხელახლა დაისვა

საკვირველია, როცა მე გარაიონების პროექტის დასაცავად გამოვედი შარშან „კომუნისტის“ ფურცლებზე, არავინ არ გაჩენილა მოწინააღმდეგე. ორი წერილი მოვათავსე გაზ. „კომუნისტში“ და წინააღმდეგ ხმა არ გამიგონია. ეხლა კი გარაიონების მოწინააღმდეგენი თავზე თმას იგლეჯენ. რაშია საქმე? რა აიძულებს მათ ასე მოიქცნენ?

მე შევეხები მოწინააღმდეგეთა „მოტივებს“ თანდათანობით.

1) პირველი მოსაზრებაა ის, რომ გარაიონების შემდეგ აღმასრულებელი აპარატი გლეხებს დაშორდა და მოწმობების აღება უძნელდებათ.

2) რომ გარაიონებამ ეკონომიური მოსაზრება (აპარატის გაიაფება) ვერ გაამართლა.

3) რომ ქურდ-ბაცაცები სარგებლობენ აღმასრულებელ ორგანოთა პერიფერიებზე დაშორებით.

4) რომ სოფლის საბჭოს მაინც უხდება აღმასრულებელ ფუნქციების შესრულება.

5) რომ თემების პატრიოტიზმი დაირღვა და მასებს აღმშენებლობის ილაჯი წაუხდა.

6) აპარატის გამარტივება არ მოხდა, „განა მასასთან დაახლოვებაა ის, როცა ღარიბი გლეხი ნაცვლად 3—4 ვერსისა 12—15 ვერსის მანძილს გაივლის უბრალო საქმისათვის, სანამ ის რაიაღმასკომამდე მიაღწევდეს“ და სხვ. სწერს ოზურგეთის მაზრის აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. თ. დოლიძე. „ჩვენში მსხვილ რაიონების შემოღებას საფუძვლად ედო (?) მართვა-გამგეობის აპარატის მასასთან დაახლოვება, მასების ყოველდღიურ აღმშენებლობით მუშაობაში ჩაბმა“ და სხვ. უხმატკბილებს ამხ. ქ. გურგენიძე იმავე აღმასკომის წევრი.

თემის აღმასკომის არსებობის დროს „კანცელარია ბნელ პირებს ჰიშკართან გაუჩნდა. ასეთ გარემოებაში შეუძლებელი შეიქნა ღამეში ნავარდობა“ და სხვ., „ახასიათებს“ გ. მუშიშვილი. ეს ერთი და იგივე აზრია სხვადასხვა სიტყვებით, ამიტომ მათ ერთივე პასუხი ეკუთვნისთ. მაგრამ ჯერ უნდა დაუსვათ საკითხი—თუ აღმასრულებელი ორგანოს მოწყობის საფუძველია მასასთან დაახლოვება ტერიტორიალურად (როგორც აქ არის ნათქვამი), მაშინ რატომ თემებში უნდა იყოს ეს ორგანოები და არა თვითეულ სოფელში? (თემში რამდენიმე სოფელი შედიოდა). როდის შეიქმნა თემი და რა ისტორიული საფუძველი აქვს მას?

თემი შექმნეს მენშევიკებმა ხელოვნურად. წინად თემები არ არსებობდა, არამედ იყო პოლიციის უბნები (участки, приставство). მენშევიკებს ესაჭიროებოდათ წვრილი ერთეულების არსებობა მისთვის, რომ ჩვენი გლეხების ფართო მასები მათ მთავრობის წინააღმდეგ იბრძოდა და „კრამოლნიკების“ დასამშვიდებლად საჭირო იყო ყოველ 100 კაცზე 3 შეიარაღებული, ყოველ თემზე ერთი სამმართველო და ყოველ რაიონზე ათასი გვარდიელი. სხვა რა ისტორიული საფუძველი ჰქონდა თემს? არავითარი გარდა იმისა, რომ ეს სიტყვა საქართველოს ძველ ლექსიკონში არსებობს, („ქართლის ცხოვრებაში“ სწერია, რომ „ძველი საქართველო—ქრისტეს დაბადებამდის—იყოფოდა თემებად. თითო თემს სათავეში მამასახლისი ედგა. ერთმა მათგანმა—მცხეთის მამასახლისმა ფარნაოზმა—თავი მეფედ გამოაცხადაო“. აი ეს არის მენშევიკების ისტორიული არგუმენტი თემების შექმნისათვის). ვინ სად დაამტკიცა, რომ თემი ეს ისტორიული, ან ეკონომიური ან კულტურული ერთეულია? ჩვენ ჯერ არ გაგვიგონია. რაც შეეხება მასებთან სიახლოვეს, მე მგონია ეს სუსტი არგუმენტია, რადგან **ხელისუფლება მასებთან უნდა იყოს ახლოს ტერიტორიალურად-კი არა, არამედ იდეურად და პოლიტიკურად.** როდესაც ჩვენ ალტერნატივს ვაყენებთ, უნდა გავარჩიოთ რა სჯობია: ძლიერი, უკეთ მოწყობილი იდეიურად აპარატი და დაშორებული ორი სამი ვერსით, თუ სუსტი, უიდეო და ახლოს მყოფი? ჩვენი ხელისუფლების ძირითადი აღმასრულებელი იაჩეიკა არის რაიაღმასკომი; და უნდა ვთქვათ, რა სჯობია—მისი სიმრავლე და უილაჯობა, თუ მისი სიმცირე და ძლიერება?... აქ პასუხის თქმაც ზედმეტია. **აღმასრულებელი ძალა უნდა იყოს მარტივი, ძლიერი და სამართლიანი. ვის შეუძლია თქვას, რომ ასეთი თვისებები თემის აღმასკომს უფრო მეტი აქვს ან იმდენი, რამდენიც რაიაღმასკომს.** მაგრამ მოვიხსენიოთ მანძილიც: აქ რაიაღმასკომის მოწინააღმდეგენი ცოტას აჭარბებენ და საკითხს სუბიექტიურად აშუქებენ.

ავიღოთ გურია.

ამხ. თ. დოლიძე სწერს, რომ თემის ცენტრი დაშორებული იყო მის ნაპირას 3—4 ვერსით. ეხლა ისინი დაშორებულია 12—15 ვერსითო. ეს არ არის სიმართლე. რაიონის ცენტრად ამორჩეულია ოთხი ან ხუთი თემის საშუალო პუნქტი. თუ თემის ცენტრი იყო 3—4 ვერსზე, ამას უნდა დაუმატოთ კიდევ დიდი 3—4 ვერსი, რადგან ოთხ-ხუთ თემთა შუა არჩეულია ხოლმე საშუალო თემი. ამ რიგად ძველი მანძილი შეიძლება გამრავლდეს ორჯერ ან ორნახევარჯერ და არა ოთხჯერ. რუსეთში, უკრაინაში, აზერბეიჯანში—ეს მანძილი უდრის 25—40 ვერსს.

მაგრამ რად სჭირდებათ გლეხებს ასე ხშირად სიარული აღმასკომში? საჩივრისათვის არსებობს სასამართლო და მილიცია, სამოქალაქო აქტებისათვის სოფლის საბჭო, რაღა უნდათ გლეხებს რაიაღმასკომში?

აქ ყველა ოპონენტები ამბობენ: „მოწმობები“-ო. საკვირველია საკავშირო ცაკმა პასპორტების სისტემა მოსპო, ხოლო გურულ და შორაპნელ გლეხებს ისევ მოწმობები სჭირდებათ. ჩვენმა ოპონენტებმა უნდა იცოდნენ პირველ ყოვლისა ის, რომ **რაიაღმასკომი და სოფლის საბჭო საპასპორტო ორგანოები კი არა, ეკონომიურ, პოლიტიკურ და ადმინისტრატიულ აღმშენებლობის ორგანოებია.**

„ფინანსიური მოსაზრება სინამდვილემ არ გაამართლა. რაიონები უფრო ძვირი გვიჯდება“-ო ამბობს ამხ. ქ. გურგენიძე. „აქ შტატის შემოკლების შესაძლებლობაზე ლაპარაკიც ზედმეტია“—სწერს ამხ. თ. დოლიძე.

ეს არაა მართალი.

ვისაც წაუკითხავს ჩემი წერილი „კომუნისტში“, მახსოვს იქ ნათქვამი ჩვენ გვქონდა 487 თემის აღმასკომი, თითოში სამი წევრი და ზოგან ორი, ზოგან ერთი მწერალი. ასე რომ ს დაახლოვებით 1461 წევრი 600—700 ტეხნიკური მუშაკი. რაიონების შემდეგ არის (120 რაი ნია) 360 წევრი (ჯამაგირიანი), 24 ტეხნიკური მუშაკი და 487—500 სოფლის საბჭოს თავმჯდომარე, სულ —860 პ-მგებელი მუშაკი და 240 ტეხნიკური. აქ განსხვავებაა—1461 კ.—860 კ.=601 პ.-მგებელი მუშა და 600 კ.—240=260 ტეხნიკური მუშა, ერთად 862 კაცი. თუ საშუალო ჯამაგირს ვივარაუდებთ 30 მანეთს—თვეში ეკონომია იქნება 25.860 მან. წელიწადში კი 25.000×12=300.000 მან. ეს კი დიდი ფულია ყოველწლიურ ბიუჯეტში ჩვენი პატარა რესპუბლიკისათვის.

ეხლა მეორე მაგალითიც. ოზურგეთის მაზრას ერთიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადის სახით (ეს ერთად ერთი ძლიერი შემოსავლის ჩვენი რესპუბლიკის) შემოუვიდა 1923

---

*) კამათის წესით. რ е д.

წითელ ჯარში

ტერიტორიალური დივიზიები

(ამხ. გედევანიშვილის მოხსენება).

7 ივლისს, ქარ. წითელი ჯარის ცენტრალურ კლუბში შესდგა თბილისის გარნიზონის უფ. და პოლიტ. შემადგენლობის კრება, სადაც თავმჯდომარეობდა ამხ. ი. გედევანიშვილი.

ამხ. ი. გედევანიშვილმა გააკეთა მოხსენება ტერიტორიალურ დივიზიების შესახებ და შეეხო ამ საკითხს როგორც პრაქტიკულად ისე, ამხედრო-მეცნიერულის თვალსაზრისით. აქვე, სცენაზე იყო გამოკრული ამიერკავკასიის რესპუბლიკათა რუკები და სქემები, სადაც აღნიშნული იყო ის ადგილები, რომელზედაც უნდა მოთავსდეს ტერიტორიალური დივიზიები. მომხსენებელმა გასაგები ენით დეტალურათ გააშუქა ორგანიზაციული მხარეებიც ტერ-დივიზიების და მთლიანი სურათი მისცა მსმენელებს.

მოხსენებამ გამოიწვია საინტერესო კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს ამხ. ამხ. პუგაჩოვმა, დრევეცკიმ, პეტროვიჩმა, დმიტრიევმა და სხვ.

იყო აუარებელი შეკითხვები, რომელზედაც დასაბუთებული პასუხი გასცა მომხსენებელმა.

რაც შეიძლება მეტი ასეთი მოხსენებები. კარგი იქნებოდა ასეთივე მოხსენებები ქართულ ენაზეც იკითხებოდეს, რომ რუსულის უცოდინარ წითელარმიელებსაც საშუალება გვქონდეს მისი მოსმენის. **ზედუნი.**

თბილისის ალმასკომის პლენუმი

ორშაბათს, 7 ივლისს შედგა ალმასკომის პლენუმი ამხ. ლადო სუხიშვილის თავმჯდომარეობით. დღის წესრიგში დასმული იყო, 1) საკით. ტელეფონების შესახებ და 2) დებულების დამტკიცება თბილისის საბჭოს შესახებ.

პირველი საკითხი, ტელეფონის შესახებ ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატის დასკვნის უქონლობის გამო, გადაიდო ვიდრე ხსენებული კომისარიატი დასკვნას მოიტანს.

თბილისის საბჭოს დებულების შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხანაგი არჩ. რუხაძე.

პლენუმი არჩევს მხოლოდ იმ მუხლებს, რომელნიც სადაო საკითხებს შეიცავენ.

საქართველოს საბჭოთა მეორე ყრილობის თანახმად, თბილისს ეძლევა უფლება სპეციალური ალმასკომისა და საკუთარი დებულების გამომუშავებისა ამ მიზნით ქალაქის ალმასკომის წევრებიდან შედგენილი იქნა კომისია, რომელშიაც ალმასკომის წევრების და შევიდნენ იუსტიციის სახალხო კომისარიატის და შინაგან საქ. კომ. წარმომადგენელნი. კომისია [illegible] რა რუსეთის მთავარ ქალაქის ალმასკომების დებულებებს და პრაქტიკას, შეიმუშავა თბილისის საბ. დებულება ჩვენი ქალაქის სინამდვილესთან შეფარდებით. მომხსენებელი კითხულობს სადაო მუხლებს, რომელიც იგი შესაფერ ინტერპელაციას უკეთებს.

ეს მუხლები შეეხებიან დებულებას ე. წ. მცირე პრეზიდიუმის შესახებ, ალმასკომის უფლებამოსილებას დადგენილებათა გამოტანის და გატარების შესახებ, დებულებას ფინანსიური განყოფილების, სახალხო განათლების განყოფილების, ჯანმრთელობის განყოფილების და საგეგმო კომისიის შესახებ.

თვითეულ დებულების შესახებ პლენუმი აწარმოებს აზრთა გაცვლა-გამოცვლას.

ამხ. სუხიშვილის და მამულიას მოსაზრებით საჭირო არ არის კონსტიტუციაში შეტანილ იქნეს დებულება მცირე პრეზიდიუმის გამოყოფის შესახებ, რადგან ეს არის პრინციპიალური საკითხი და მცირე პრეზიდიუმის ნაცვლად საკმაო. მხოლოდ ტექნიკური მუშაობისათვის ალმასკომის თავმჯდომარის ხელმძღვანელობით მოწყობილ იქნეს ე. წ. სამ[illegible] კომისია (სეკრეტარიატი). მცირე კამათის შემდეგ ამხ. სუხიშვილის წინადადება პლენუმის მიერ მიღებულ იქნა.

რაც შეეხება თბილისის ალმასკომის უფლება-მოსილებას ალმასკომი თავისი მოქმედების დროს ექვემდებარება მხოლოდ საქ. საბჭოთა ყრილობას და ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს.

არც ერთ ცალკე სახალხო კომისარიატს უფლება არ აქვს შეაჩეროს ალმასკომის დადგენილებათა ცხოვრებაში გატარება უშუალოდ. სახ. კომისარიატებს შეუძლიათ მხოლოდ სახალხო კომისართა საბჭოში შეიტანონ თავიანთ წინადადება, რომლის მიღების შემდეგ სახ. კომ. საბ. სათანადოთ მოქმედებენ.

დებულების ეს მუხლი პლენუმმა მიიღო.

შემდეგ პლენუმი გადადის დებულებათა განხილვაზე ცალკე უწყებათა შესახებ.

პლენუმმა საფინანსო განყოფილების შესახებ დაამტკიცა ასეთი მუხლი: ალმასკომი ფინ. სახ. კომ. წარუდგენს საფინანსო განყოფილების პასუხისმგებელ მუშაკთა კანდიდატებს, რომელსაც ამტკიცებს ფინ. სახ. კომ. რწმუნებული.

საფინანსო განყოფილების გამგეს, რომელიც შეიძლება არ იქნეს ალმასკომის წევრიც, ირჩევს ალმასკომი ერთი წლის ვადით.

ხანგრძლივი კამათი გამოიწვია დებულებამ საგეგმო კომისიის შემადგენლობის შესახებ. კამათის დასასრულ მიღებულ იქნა შემდეგი წინადადება: საგეგმო კომისიაში შედიან კომუნალური, საფინანსო განყოფილების გამგენი და ალმასკომის მდივანი, ხოლო ცალკე განყოფილებათა წარმომადგენლებს გადამწყვეტი ხმით მონაწილეობის უფლება ეძლევა მხოლოდ იმ საკითხებში, რომელნიც მათ განყოფილებებს შეეხებიან.

ჯანმრთელობის განყოფილების შესახებ დებულებათა განხილვის დროს პლენუმმა დაამტკიცა შემდეგი მუხლი: უფასო სტაციონალური დახმარება ეძლევა ქალაქის ღარიბ მცხოვრებთ და პროფკავშირის წევრებს.

პლენუმის სხდომა საღამოს 10 ნახ. საათზე შეწყდა.

მეცნიერება-ტექნიკა

ვერტიკალური ფრენა.

ვერტიკალური (ე. ი. პირდაპირ მაღლა) ფრენის იდეა ძლიერ ძველია: ჯერ კიდევ მეთუთხმეტე საუკუნეში ამ საკითხს იკვლევს გენიალური მხატვარი და არანაკლებ გენიალური ტეხნიკოსი ლეონარდო და-ვინჩი, რომელმაც შეადგინა ასეთი აპარატის პროექტი.

მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში, როცა საფრანგეთში დაიწყო ძლიერი აგიტაცია ჰაერში ფრენის პრობლემის მექანიკური გზით გადაჭრის სასარგებლოთ, ასეთი პროექტები შეადგინა რამდენიმე პირმა.

ამჟამად ისეთი ჰაეროპლანების აგების საკითხი, რომლებიც ვერტიკალურად ფრენენ (მათი ფრთები ვერტიკალურ ღერძზე ტრიალებენ) კვლავ დაისვა დღის წესრიგში.

ასეთ აპარატებს ეწოდება გელიკოპტერი. გელიკოპტერს თანამედროვე ჰაეროპლანის წინაშე ის უპირატესობა აქვს, რომ მას არ სჭირდება რაიმე მანძილის გავლა დედამიწაზე ჰაერში ასაფრენათ. ამჟამად საკითხის სიმძიმის ცენტრი მდგომარეობს ისეთი ვინტების დამზადებაში, რომლებიც თავისი სიმაგრით უზრუნველყოფენ საფრენი მანქანის წონასწორობას ჰაერში.

დიდი ცდები სწარმოებს ვერტიკალური ფრენის საკითხის გადასაჭრელად როგორც ინგლისში, ისე საფრანგეთში.

ინგლისში ასეთი გელიკოპტერი დაამზადა ლუი ბრენანმა და, როგორც უცხოეთის გაზეთები იუწყებიან, მნიშვნელოვან შედეგებს მიაღწია: პირველივე ცდის დროს გელიკოპტერი ავიდა 700 მეტრის სიმაღლეზე, ჰორიზონტალურად ფრენის დროს გაიარა 100 კილომეტრი.



გელიკოპტერი „პესკარა“.

ჩვენ სურათზე დახატულია გელიკოპტერი რომელიც დაამზადა ესპანელმა გამომგონებელმა პესკარამ.

მოძრაობის სისწრაფე.

ქვემოთ მოთავსებული ცხრილი მეტად საინტერესო სურათს გვაძლევს იმისა, თუ როგორია მოძრაობის სისწრაფე დაწყებული ლოკოკინიდან და გათავებული სინათლით.

ასე მაგალითად, საათში გადის:

ლოკოკინა—2 ნახ. საჟენს, მდინარე (ველათ)—2 ვერსს, მგზავრი—4-5, სწრაფმავალი ოკეანეს გემი—30, ველოსიპედით მოგზაური—34, ცხენი—41, ჩქარი მატარებელი—58, საფოსტო მტრედი—94, ავტომობილი—137, ჰაეროპლანი—150, მერცხალი—223, ხმა ჰაერში—1123, ტყვია (დაწყებითი სისწრაფე)—2052, ყუმბარა—3074, დედამიწა (მზის გარშემო მოგზაურობის დროს)—100800, სინათლის სხივი—1.008.000.000 ვერსს.

ახალი მატორი.

მოსკოვის ტეხნოლოგიური ინსტიტუტის პროფესორმა გელდმა გამოიგონა მატორი ჰაეროპლანებისათვის, რომელიც მუშაობს არა ბენზინით, არამედ ნავთით. ეს მატორი ათჯერ უფრო პატარაა, ვიდრე თანამედროვე ჰაეროპლანების ნორმალური მატორები და მოძრაობას იწყებს შეკუმშული ჰაერის საშვალებით. ბენზინის მაგიერ ნავთის ხმარება კი სამჯერ ამცირებს ხარჯებს.

ფლექის მკურნალობა ელექტრონით.

ქ. ხობ-კენის (ამერიკაშია) საავადმყოფოს ექიმები იუწყებიან, რომ მათ მნიშვნელოვან შედეგებს მიაღწიეს ფლექის ელექტრონით მკურნალობის საქმეში. ეს საშვალება მდგომარეობს შემდეგში: ფლექით ავადმყოფს გულზე და ზურგში ადებენ ელექტრონის გამტარებელ ფირფიტებს და ფილტვებში შეჰყავთ დიდი სიხშირის ცვალებადნაკადიანი ელექტრონის ტალღები, რომელიც კლავს ფლექის ბაცილებს. 30-დი ფლექით ავადმყოფობის უკანასკნელ სტადიაში მყოფი, უკეთ შეიქნა ელექტრონით მკურნალობის შემდეგ.

ელექტროთმავალი და ორთქმავალი.

მექსიკის რკინისგზებზე შემდეგი ცდა მოახდინეს. ერთმანეთს მოაბეს ერთი და იგივ წონის ელექტროთმავალი და ორთქლმავალი. ნიშანის მიცემის შემდეგ ორივე ლოკომოტივი დაიძრა, მაგრამ ბორბლები ერთ ადგილზე ტრიალებდა რამდენიმე წუთის შემდეგ ლექტროთ მავალმა დასძლია ორთქლმავალი.

ქრონიკა

— **ციმბირის ჭირი.** ციმბირის ჭირთან საბრძოლველათ სენაკის მაზრაში მოწყობილი იქნა სამაზრო სარაიონო და სათემო სამეული. სამეულის მიზანია მიიღოს ენერგიული ზომები ჭირთან საბრძოლველად.

—**სასოფლო - სამეურნეო ბანკი.** [illegible] რველად აღიარა, რათა ყველა დაწესებულებებმა იქონიონ სახელდახელო ანგარიშები საქ. სასოფლო-სამეურნეო ბანკში, ხოლო ეს სავალდებულოა იმ დაწესებულებებისათვის, რომელნიც ამ ბანკიდან ღებულობენ სესხებს.

— **ეკლესიის ქონება—კულტურული მიზნისათვის.** დუშეთის ალმასკომმა გადასწყვიტა სოფ. ამილახვარიანთკარის ეკლესიის ქონების განაღდება, შემოსული თანხიდან კულტურულ საქმეზე მოხმარების მიზნით

—**საფონდო მთები.** დუშეთის მაზრის საფონდო მთები გადაეცა ადგილობრივ გლეხთა კომიტეტებს.

— **ტუსაღები სახოფლო სამუშაოებზე.** გორის გამასწორებელ სახლის ტუსაღების მიერ დამუშავებული [illegible] პედაგოგიური ტეხნიკუ[illegible]

— **აგრო-დახმარება.** მიწად-მოქმ. კომისარიატმა წინადადებით მიმართა დუშეთის სამაზრო ალმასკომს ადგილობრივ მეურნეობის განყოფილებასთან მოაწყოს აგრონომიული დახმარების მაგიდა.

— **შენობა სკოლისათვის.** 107 შრომის სკოლამ შუამდგომლობა აძრა ქალ. ალმასკომის წინაშე 15.000 მან. გადადების შესახებ, აღნიშნულ სკოლის შენობის გასადიდებლათ.

— **ახალი ვაგონები.** ტრამვაის სახელოსნო ამ ჟამად აგებს ორ მოტორიან ვაგონს № 105 ტიპისას.

— **საჰაერო ფლოტის დღე.** 14 ივლისს გაიმართება საჰაერო ფლოტის დღე, ამავე ჰაეროდრომზე მოეწყობა იაფ-ფასიანი ფრენა გარეშეთათვის ტფილისის თავზე და ლექციები ავიაციაზე.

— **ლენინის სახელობის ბაღი.** შეუდგენ ლენინის სახელობის ბაღის რკინის მოაჯირით შემოღობვას.

— **ჯანმრთელობის განყოფილება.** ჯანმრთელობის განყოფილების სექციის მიერ აღიძრა შუამდგომლობა ჯანმრთელობის განყოფილების კოლეგიის დაარსების შესახებ ქვე-განყოფილებათა გამგეების შემადგენლობით.

— **მიწად-მოქმედების განყოფილების გადაკეთება.** შინ. საქ. კომისარიატის წინადადების თანახმად, ალმასკომის მიწად-მოქმედების განყოფილება გადაკეთებული იქნა ტფ. კომუნალურ მეურნეობის სამიწად-მოქმედო ქვეგანყოფილებად.

— **ლტოლვილები.** ივნისის განმავლობაში აღრიცხულნი იქნენ პირადობის მოწმობების მიცემით 420 ლტოლვილი.

— **საბჭოთა საქართველოს ქვეშევრდომნი.** ტფ. მუშათა და გლეხთა მილიციამ შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატს გადასცა განსახილველად საბჭოთა საქართველოს ქვეშევრდომების სურვილის აღიარების 5 განცხადება.

— **ჯარიმახაგან შემოსული თანხა.** ივნისის განმავლობაში ქ. ალმასკომის მიერ გამოცემულ სავალდებულო დადგენილებათა დარღვევისათვის ჯარიმების სახით შემოვიდა სულ 4,531 მ. და 60 კ.

— **საზოგადო მყუდროების დარღვევისათვის.** ტფ. მ.-გ. მილიციამ ივნისის განმავლობაში საზოგადო მყუდროების დარღვევისათვის შეიპყრო 17 კაცი.

— **ქალაქიდან გასულ და შემოსულ მოქალაქეთა რაოდენობა.** ივნისის განმავლობაში ქალაქში შემოვიდა სულ 3,859 პირი, აქედან 2,438 მამაკაცი და 1,421 დედაკაცი. ამავე ხნის განმავლობაში ქალაქიდან გავიდა 6,647 მოქალაქე, ამ რიგად ქალაქს მოაკლდა 2,788 სული, აქედან 1,625 დედაკაცი და 1,163 მამაკაცი

შემთხვევები.

— უცაბედი დაჭრა. 5 ივლისს, საღამოს 6 საათზე, ტარიელოვის შესახვევი № 7 ახალგაზრდათა კომკავშირის წევრს შალვა გვინცაძეს გაუვარდა უცაბედათ რევოლვერი და დაიჭრა თავი მარცხენა მკლავში.

— ცოლის მოკვლა. 5 ივლისს, საღამოს 10 საათზე, ბელინსკი ქუჩა № 8, მოქ. ალექსანდრე ბელსკიმ ოჯახურ უთანხმოების ნიადაგზე დანით მოჰკლა თავისი ცოლი ზინაიდა. მკვლელი შეიპყრეს.

— დაჭრა. 6 ივლისს. საღამოს 10 საათზე, საზოგადოების ქუჩა № 11 მოქ. ალექსანდრე საძაგლიშვილმა დანით დასჭრა თავის ცოლის ძმა იოსებ ჯიბულაშვილი. დამნაშავე შეიპყრეს.

— თავის მოწამვლა. 6 ივლისს, დღის პირველ საათზე, ბებუთოვის ქ. № 20, რომანიულ ნიადაგზე თავი მოიწამლა მარიამ დიმიტრის ასულმა ჩუბინიძისამ, რომელიც გადაგზავნილი იქნა საავადმყოფოში.

— ცეცხლი. 5 ივლისს, საღამოს 9 საათზე, მადათოვის კუნძულზე, ელექტრონის სადგურს გაუჩნდა ცეცხლი, რომელიც ჩააქრო ცეცხლისმქრობელმა რაზმმა.

— თავის ჩამოხრჩობა. 6 ივლისს, საღამოს 6 საათზე, კამოს ქ. № 8 მდებარე ფეხისალაგში თოკით თავი ჩამოიხრჩო მიხეილ თალაკოვიჩმა (მცხოვ. კალინინის ქ. № 4) მიზეზი გამოურკვეველია.

— დახრჩობა. 4 ივლისს, მტკვარში დაიხრჩო ბანაობის დროს უცნობი ყრუ-მუნჯი ბავშვი.

ხელოვნება

მუშათა კლუბებში

ს. ორჯონიკიძის სახელობის მუშათა კლუბში.

კვირას, 6 ივლისს მსახიობ პავლე ფრანგიშვილის მონაწილეობით და მორიგე რეჟისორობით ს. ორჯონიკიძის სახელობის მუშათა კლუბში დაიდგა შიუკაშვილის 4 მოქ. პიესა „სულელი“ წარმოდგენა დამაკმაყოფილებლად ჩატარდა. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევდა მსახიობი ფრანგიშვილი, რომელიც ასრულებდა სულელის როლს. მისმა თამაშმა აღფრთოვანებაში მოიყვანა დამსწრე საზოგადოება. წარმოდგენა გათავდა თორმეტის ნახევარზე, დამსწრე მუშები კმაყოფილნი ბრუნდებოდნენ სახლში. **ჟაკი.**

ავლაბრის მუშათა კლუბში.

შაბათს, 5 ივნისს, ამხ. სულთანიშვილის რეჟისორობით ავლაბრის მუშათა კლუბის ქართულ დრამატიულ წრის მიერ წარმოდგენილ იქმნა ქართულ ენაზე დრამა „მსხვერპლი“ (ორი მოქმედება) და ერთ მოქმედებიანი ვოდევილი „პარტია-პურტია“. „მსხვერპლი“ როგორც შესრულების, ისე დადგმის მხრივ (დეკორაციები) დამაკმაყოფილებლად ჩატარდა. მოთამაშენი საუცხოვოდ ასრულებდნენ თავის როლებს, განსაკუთრებით კი ამხ. სულთანიშვილი, მირველოვი, ჯანჯუყაზოვი, ჟუჟუნაშვილი და პაპინაშვილი, დანარჩენები ხელს უწყობდენ პიესის კარგად ჩატარებას.

საერთოდ წარმოდგენა მწყობრად ჩატარდა და საზოგადოება საკმაოდ დაესწრო. **ი. ჯ.**

ქართულ დივიზიის ცენტრ. კლუბში.

შაბათს, 5 ივლისს მე-4 უზნის ახალგაზრდა კომკავშირთან არსებულ ქართულმა დრამატიულმა წრემ წარმო[illegible]სენა“. წარმოდგენა საუცხოვოდ ჩატარდა. არსენას როლს ასრულებდა ვ. კობახიძე, რომელსაც ცოტა სისუსტე ემჩნეოდა 1-ლ მოქმედებაში დანარჩენებში დამაკმაყოფილებელი იყო. გარსევანის როლი შესრულა თავმაკაძემ, რომელმაც კარგად შეასრულა თავისი როლი. მას ეტყობა ნიჭი. სიდონია — გიუნაშვილი დამაკმაყოფილებელი იყო. საჭიროა უფრო თავისუფლად გრძნობდეს თავს ცენაზე. იორამი ხახვიაშვილი—კარგი იყო, მესამე მოქმედებაში კი სუსტა. საჭიროა მეტი ენერგია პიესის მომზადებაში. მან სრულიად ვერ გადმოგვცა ის სულიერი განცდა, რასაც განიცდის ადამიანი სიკვდილის დროს.

ნინო ჯაფარიძე—საუცხოვო იყო თავის როლში და კმაყოფილმა საზოგადოებამ დააჯილდოვა ტაშის ცემით. საერთოდ მადლობის ღირსია წრის ხელმძღვანელი, რომელიც ენერგიულად ეკიდება თავის საქმეს. კარგი იქნება უფრო ხშირად გამართავდეს წარმოდგენებს, რათა სცენის მოყვარეები უფრო გაბედულად გამოდიოდნენ სცენაზე. **კინო.**

— **ალ. მაისურაძის მომღერალთა გუნდი პროვინციაში.** 5 ივლისს თბილისიდან გაემგზავრა ალ. მაისურაძის სახალხო მომღერალთა გუნდი [illegible] საქართველოში, ქართული კონცერტების [illegible]. პროგრამა [illegible] განსაკუთრებით ქართულ-კახური და ევროპიული სიმღერებისაგან. პირველი კონცერტი გაიმართება — [illegible], 8 ივლისს, ქ. ბათუმში.

— **ფუტურისტების ჟურნალი.** რედაქციამ მიიღო ქართველ ფუტურისტების ჟურნალი „H 2504“. ჟურნალში მოთავსებულია წერილები, ლექსები და რეპროდუქციები. ჟურნალი შეიცავს 96 გვერდს გამოცემულია კარგ ქაღალდზე და ღირს 2 მანეთი.

პლეხანოვის სახელობის კლუბში.

— 3 ივლისს დამთავრდა ეკრანზე „მამის მკვლელის“ ჩვენება. მუშები მაყოფილნი დარჩნენ.

— 5 ივნისიდან დაიწყება ეკრანზე ალ. ყაზბეგის „მოძღვარის“ ჩვენება.

— ზამთრის სეზონის გახსნამდე კლუბის გამგეობას მიზნათ აქვს დასახული ამ კლუბის სცენის გაფართოება და სხვა რემონტი.

თბილისის სახელმწიფო თეატრის დრამის დასის შემადგენლობა

მომავალ სეზონისათვის

ც. ამირეჯიბი, ვ. ანჯაფარიძე, ს. ბეჟანიშვილი, ბ. გამრეკელი, ნ. დავითაშვილი, ელ. დონაური, ან. შოთაძე, გ. შავიშვილი, ც. წუწუნავა, თ. ჭავჭავაძე, ნ. ჯავახიშვილი, ნ. გოცირიძე, ქ. გვარაძე, გ. დავითაშვილი, აკ. ვასაძე, მ. ვარდოშვილი, პ. კორიშელი, მ. ლორთქიფანიძე, დ. მჭავია, ალ. ჟორჟოლიანი, გ. სარჩიმელიძე, შ. ღამბაშიძე, დ. ჩხეიძე, უშ. ჩხეიძე, აკ. ხორავა, ვ. ჯიქია.

რეჟისორი ალ. ახმეტელი.

რეჟ. თანაშემწენი: ალ. გველესიანი, დ. ანთაძე და კ. პატარიძე.

მოკარნახე. პ. ჟორდანია.

სამხატვრო ნაწილის გამგე. კ. მარჯანიშვილი.

ეს დასი დამტკიცებულია 1924—25 წ. წ. სეზონისათვის მთავარ სახელოვნო კომიტეტის მიერ და დადასტურებული სახალხო განათლების კომისარის მიერ ა | წ. პირველ მაისიდან, მომავალი წლის პირველ მაისამდე.

ამათ გარდა სტუდიიდან გადმორიცხულია 8 ქალი და 12 ვაჟი. ეს ახალგაზრდათა ჯგუფი ამ თავითვე დაიწყებს წინასწარ მუშაობას დასთან ერთად.

რეპერტუარი: „ფაუსტი“ გიოტესი, „ვინდზორის ცელქი ქალები“ შექსპირისა, „მებაღის ძაღლი“ ლოპე დე-ვეგასი, „ცხოვრება სიზმარია“ კალდერონისა, „გველის მჭამელი“ ვაჟა-ფშაველასი, „ხრისეს გველ[illegible] ქუთათელაძის, „ლატავრა“ შანშიაშვილის, „შპიგელმენში“ ვერფელის, „დილიდან შუაღამემდინ“ კაიზერის, „მისტერია ბუფ“ მაიაკოვსკისა.

ძველი რეპერტუარიდან განახლებული იქნება: „მალშტრემი“, „ცხვრის წყარო“, „ინტერესთა თამაში“, „სინათლე“, „გააზნაურებული მდაბიო“, „კაცი მასსა“, „მზის დაბნელება“, „გაზ“, „გუშინდელნი“, „სამანიშვილი“.

პროვინციაში

მასწავლებელთა შორის (გორის მაზრა)

სახალხო განათლების უდიდესი ყურადღება ექცევა საბჭოთა ხელისუფლების მიერ, იგი აღიარებულია „მესამე ფრონტად“. ამ საქმეზე საქართველოში იხარჯება 55 პროც. ბიუჯეტისა. ამხ. ლენინი ყოველთვის დიდ მნიშვნელობას აკუთვნებდა სახალხო განათლებას სოციალისტურ საზოგადოების შენების საქმეში, ამხ. ზინოვიევი ლენინგრადის [illegible], რომ მასწავლებლობა უნდა გადაიქცეს კომუნისტური პარტიის საგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობის გამტარებლად სოფელშიო. ამ დიდი მისიის შესრულებისათვის მასწავლებლობა არ არის მომზადებული: ძველი სკოლა ზრდიდა მასწავლებელს მოხელედ, იგი ყურმოჭრილი მონა მორჩილი იყო ინსპექტორ-დირექტორებისა და ატარებდა ცხოვრებაში იმას, რასაც უშუალოდ ზევიდან კარნახობდენ. დღეს კი ცხოვრება მას სთხოვს, რომ იყოს შემომქმედი ახალი საზოგადოებისა, ახალი თაობის, დღეს მან უნდა აკეთოს არა თუ მარტო თავისი პირადი პირდაპირი საქმე—აწარმოოს სწავლება სკოლის კედლებში, არამედ მან უნდა ხელი-ხელ ჩაკიდებული იაროს კომუნისტურ პარტიასთან საბჭოთა აღმშენებლობაში. ის უნდა იყოს კულტურის მატარებელი. შემაერთებელი სოფლის და ქალაქისა. უკანასკნელ ხანებში მასწავლებლობამაც თანდათან იცვალა ფრონტი და დგება მტკიცეთ საბჭოთა ხელისუფლების პლატფორმაზე.

პარტიულ ხელმძღვანელ ორგანოებს ამ ბოლო დროს არა ერთხელ გამოუტანიათ დადგენილება მასწავლებთან დაახლოების და მათი საბჭოთა აღმშენებლობაში ჩაბმის შესახებ, მაგრამ რეალური ნაბიჯები ამ მხრივ ჯერ არ არის გადადგმული, გორის მაზრამ დაიწყო ამ მხრივ მუშაობა, ჯერ-ჯერობით გადადგმულია პირველი ნაბიჯები. ქ. გორის მასწავლებლების ერთი ჯგუფის მიერ შესდგა საინიციატივო წრე პარტიულ კომიტეტთან, რომელსაც მიზნად აქვს მასწავლებლებში პოლიტიკური მუშაობის ჩატარება, რომ მასწავლებლობა დაუახლოვდეს კომპარტიას და საბ. ხელისუფლებას, რათა შესაძლებელი გახდეს მასწავლებლების მიერ შესრულება იმ დიდი დავალებებისა, რომელსაც აკისრებს კომუნისტური პარტია. ზევით აღნიშნულმა წრემ ჯერ ჩაატარა მოსამზადებელი მუშაობა ცალ-ცალკე სასწავლებლებში; [illegible] მოძრაობა და მასთან დამოკიდებულების შესახებ“, ამ საკითხის ირგვლივ იყო სჯა-ბაასი, უზიარებდენ ერთმანეთს გულის ნადებს და ერკვეოდენ სხვადასხვა მათთვის საინტერესო მოვლენაში.

ჯგუფური კრებების ჩატარების შემდეგ. მოწვეულ იქნა 21 ივნისს გორში მასწავლებელთა საზოგადო კრება, სადაც გამოცხადდა 100-ზე მეტი მასწავლებელი, მოვიდნენ შორეული სოფლებიდანაც კი, როდესაც გაეგოთ ამ კრების შესახებ. დასმული იყო 3 საკითხი: 1. საბჭოთა ხელისუფლების მიღწევები საშინაო და საგარეო ფრონტზე და მასწავლებლობის მოძრაობა საბჭოთა ხელისუფლებასთან დასაახლოებლად—მომხსენებელი ამხ. არჩ. გიორგაძე, 2. საბ. მთავრობის ეროვნული პოლიტიკის შედეგები საქართველოში—მომხს. ამხ. შ. გაჩეჩილაძე. მოხსენებების შემდეგ გაიმართა კამათი. ყველა ამხანაგები აღნიშნავდენ კომ. პარტიასთან და საბ. ხელისუფლებასთან დაახლოების საჭიროებას და იმ დიდი ამოცანების შესრულების აუცილებლობას, რასაც უსახავს მას საბჭოთა მთავრობა. ბოლოს კრებამ ერთხმად მიიღო ვრცელი მოწოდება მაზრის მასწავლებლობისადმი კომპარტიასთან დაახლოებისა და თანამშრომლობის შესახებ.

მოწოდება გადაბეჭდილი იქნება და გავრცელდება მთელს მაზრაში. ასეთივე კრებები ჩატარდება მთელს მაზრაში, რაც ძლიერ ხელს შეუწყობს მასწავლებლობის ახალ გზაზე ურყევათ დადგომას.

შ. ა.

[illegible] რომელიმე თანამდებობის პირს [illegible] მოწმობის სისწორით და ან სინამდვილით გაცემაში, საჭირო ხდება ერთგვარი „სპრავკის“ მოხდენა: ვის [illegible] ოდის და რა №-რით მიეცა მოწმობა, მართლა მიეცა ამა და ამ პი[illegible]ენებს თუ არა. ამისათვის საჭირო არის ამ მოწმობის ჩაწერა [illegible], მისი შინაარსის მიხედვით, და [illegible] ეს ასე არ იქნება, იმ შემთხვევაში მოწმობის გაცემას ყოველივე მნიშვნელობა ეკარგება. აგრეთვე ყოველი მიღებული მიწერილობა, რომელიც ეხება ამა თუ იმ საკითხს, უნდა ჩაიწეროს შემოსავლის წიგნში და აღინიშნოს მისი მსვლელობა. დღეს კი ვინ იცის სად მიდის ეს მიწერილობები და როგორ ტარდება ის ცხოვრებაში.

უდიდესი მნიშვნელობა აქვს თავის დროზე უწყების, საოლქო და სახალხო სასამართლოების უწყებების თავის დროზე დარიგებას. ზემოაღნიშნულის თავის დროზე ჩაუბარებლობა იწვევს მრავალ გაუგებრობებს და დიდ ხარჯებსაც აძლევს სახელმწიფოს რაიონიროვანიის შემოღების შემდეგ 50 პროცენტით გაიზარდა საქმეების გადადება, რომლითაც, როგორც სახელმწიფო აგრეთვე მშრომელი, რომელიც დაინტერესებულია საქმის დაჩქარებით, დიდ უხერხულ მდგომარეობაში ვარდება და ეს ზედმეტ ხარჯებს იწვევს.

მოსამართლესათვის აუცილებელია ცნობა უწყების ჩაბარების შესახებ. ამიტომ საჭირო არის ასეთი ცნობის გამოგზავნა. მაგრამ ეს მოითხოვს აპარატს და საკანცელარიო ხარჯებს.

დღეს ხშირია ისეთი შემთხვევა, როდესაც ფოსტით გაგზავნილი უწყებები, აგრეთვე სხვა მრავალი მიწერილობები, უგზო-უკვლოთ იკარგება. იკარგება იმიტომ, რომ საბჭოს არ აქვს სამისო ჩასაწერი წიგნები და არც ისეთი ვინმე, რომელსაც შეეძლოს ჩაწერა. ერთ საბჭოს თავმჯდომარეს, როდესაც მოუნდომებია ასეთი წიგნაკების შავათ მაინც შესრულება ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლათ, მიუვიდა ცირკულიარი, რომელშიაც კატეგორიულათ ეკრძალებათ ყოველგვარი კანცელარიული ვოლოკიტა. ისიც სწერია ამ ცირკულიარში, რომ საბჭოს თავმჯდომარეები მოვალენი არიან მიიღონ ყოველივე ზომები, რათა ყოფილი თემალმასკომის ბინები (სადაც ამჟამათ საბჭოებია მოთავსებული) [illegible] იქნან რაიმე კულტურულ დაწესებულებებათ. ამ ცირკულიარს ხელს აწერს ალმასკომის თავმჯდომარე. ეს ცირკულიარი ერთხელ კიდევ ამტკიცებს იმას, რომ გლეხობა მაინც თავის „კაეცელიარიასთან“ მიდის და იქ უნდა დაიკმაყოფილოს თავი. საბჭოს თავმჯდომარეც—მიუხედავათ იმისა, რომ ამის უფლება არ აქვს, ერევა სხვადასხვა საქმეების მოგვარებაში და ამნაირათ გლეხი ნაწილობრივათ, გარდა მოწმობების მიღებისა, დღესაც თავს იკმაყოფილებს საბჭოს თავმჯდომარის დახმარებით, სწორეთ ამის გამო იყო გამოცემული ზემოხსენებული ცირკულიარი, მაგრამ დღემდე ცირკულიარი ცირკულიარად რჩება და საბჭოს თავმჯდომარე კი იძულებულია შეასრულოს უბედო მამასახლისის როლი იმის მოლოდინში, რომ ამისათვის შეიძლება ის პასუხისგებაშიაც მიეცეს.

შეუძლია თუ არა შეასრულოს თავისი პირდაპირი დანიშნულება რაიალმასკომმა და რას წარმოადგენს სინამდვილეში ის ეხლა

დებულების თანახმად თემის ალმასკომების ყოველგვარი ადმინისტრატიული ფუნქციები გადაეცა რაიალმასკომს. ამგვარად, თუ თემი ადმინისტრატიულათ განაგებდა 3—4—6—8 ათასამდე მცხოვრებთ, დღეს რაიონი [illegible] 20—30—40 ათასამდე მცხოვრებთ.

მაგალითად ქუთაისის რაიალმასკომის ტერიტორიაზე მცხოვრებთა რაოდენობა უდრის 40 ათასს სულს. ამგვარად რაიალმასკომმა უნდა გასცეს პასუხი ყოველდღიურ შემთხვევებს და მოვლენებს თავის ტერიტორიაზე მცხოვრებთა შორის მომხდარს.

წარმოიდგინეთ მცხოვრებთა რაოდენობა რაიონის ფარგლებში და შემდეგ რაიალმასკომი თავისი შტატით.

რაიალმასკომის შტატს შეადგენს კანცელარიაში—მდივანი, საქმის მწარმოებელი და დარაჯი (ზოგ ადგილას დარაჯს თვით ხალხი ქირაობს, მაგალითად ბაღდათში). წარმოიდგინეთ, რომ ამ ვეებერთელა რიცხვის მცხოვრებლებმა მართლაც შესძლეს მიმართონ რაიალმასკომს ყოველ საქმეების შესახებ და მოითხოვონ მისგან კმაყოფა. ამ შემთხვევაში ჩვენ მივიღებთ ისეთ სურათს, რომ ფიზიკურათ ყოვლად შეუძლებელი გახდება მცხოვრებთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილება და ვერასოდეს რაიალმასკომი თავის დანიშნულებას ვერ შეასრულებს უბრალო ფიზიკურათ მოუხერხებლობის და შეუძლებლობის გამო.

რას წარმოადგენს დღეს რაიალმასკომი? ის წარმოადგენს იგივე ერთ რომელიმე თემის ალმასკომს იმ განსხვავებით, რომ თემის ალმასკომს ძველათ ჰყავდა 3—8 ათასამდე მცხოვრები, ხოლო ეხლა რაიონის (იგივე თემის) ჰყავს 20—40 ათასამდე მცხოვრები. ჩემ წერილში მოყვანილი ფაქტები ნათლად ადასტურებენ იმ გარემოებას, რომ იმას, რაც უნდა გააკეთოს რაიალმასკომმა, აკეთებს თემის საბჭოს თავმჯდომარე ან თვით რაიალმასკომის დავალებით ან და თვითონვე თავისი ინიციატივით.

ამგვარათ რაიალმასკომი რჩება მხოლოდ ერთგვარ გადამცემ ორგანოთ რაიონის უმრავლეს თემებისათვის, ხოლო ის ასრულებს თავის ნამდვილ დანიშნულებას იმ თემის ფარგლებში, რომელშიაც რაიალმასკომი მუშაობს. დანარჩენი თემები კი არიან თემის საბჭოს თავმჯდომარეების სრულ განკარგულებაში.

როგორი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფო ხელისუფლებაში ადგილობრივ ხელისუფლების ორგანოებს.

ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები განსაკუთრებით კი ხელისუფლების ორგანოები სოფლად წარმოადგენენ იმ დასაყრდენ ბოძებს, რომლის საშუალებითაც ალმართულია ბუმბერაზი აპარატი სახელმწიფო ხელისუფლებისა. მთელი ეს აპარატი იცავს რესპუბლიკის მცხოვრებთა ინტერესებს და იფარავს მას ამა თუ იმ მოსალოდნელ საფრთხისაგან, ამყარებს მათ შორის მშვიდობიან და მყუდრო ცხოვრების პირობებს. მთაპარატი მეტისმეტად მოქნილი უნდა იყოს, რომ თავის დროზე და დაუყოვნებლივ შეასრულოს მცხოვრებთა ყოველდღიური გადაუდებელი მოთხოვნანი. ყველაზე მეტი მუშაობა ამ მხრივ უწევს იმ ხელისუფლების ორგანოს, რომელიც უშუალოთ, იქვე მცხოვრებთა შორის მოქმედებს. ასეთი არიან სოფლის ხელისუფლების ორგანოები თემის ალმასკომების სახით. სახელმწიფოს ხელისუფლების ორგანოს მთავარ საძირკვლათ ჩაითვლება თემის ალმასკომები. თითქმის სულ ყველა ზედაზენ სახელმწიფო ორგანოებს, როგორიც არიან დაწყებულნი ს. ს. ც. ა. კომიტეტიდან გათავებული მაზრის ალმასკომით, ყველა სახალხო კომისარიატებს და სასამართლოებს და საერთოდ ყველა ხელისუფლების ორგანოს სახელმწიფოებრივი აპარატი მოყავს მოძრაობაში ამ ძირითადი უჯრედების საშუალებით. ყველაზე მეტი მუშაობა ყოველთვის თავს ატყდება თემალმასკომებს, რომლებიც, როგორც ზევით ვსთქვით, უშუალოდ ატარებენ ცხოვრებაში როგორც დანარჩენ, ზევით მყოფის, აგრეთვე თვით თავის მიერ მიღებულ ღონისძიებას. და თუ ეს აპარატი დაზიანდა, იმ შემთხვევაში საგრძნობლათ ფერხდება მუშაობა მთელი სახელმწიფო აპარატისა.

მაგალითისათვის მივმართოთ შემდეგ შემთხვევებს ჩვენი პრაქტიკიდან: დღეს ჩვენ თემალმასკომების მაგივრად თემის საბჭოები გვაქვს. საბჭოს თავმჯდომარე წარმოადგენს ხელისუფლებას თემის ფარგლებში. ის ღებულობს მიწერილობებს განათლების საკითხზე, ფინანსიურ საკითხზე, მეურვეობის საქმეზე და სხვადასხვა სასამართლოების უწყებებს და სასამართლოს დადგენილებებს ცხოვრებაში გასატარებლათ. უფლების, დროს და საშუალებების უქონლობის გამო, არამც თუ ცხოვრებაში ტარდება ზემოხსენებული დადგენილებები, არამედ ზევით მდგომ ხელისუფლების ორგანომ არც იცის და ვერც გაიგებს, თუ რა ბედი ეწია იმ ქაღალდებს, რომლებიც მან გადაუგზავნა ხსენებულ საბჭოს თავმჯდომარეებს.

როგორც ზევით ვსთქვით, რაიალმასკომები ვერც შესძლებენ ამას და არც კითდება მათ მიერ ასეთი რამეები და სწორეთ ამითი დიდი ზიანი ადგია საერთოდ მთელი სახელმწიფო აპარატის მუშაობას.

ამიტომ და ყოველივე ზემოხსენებულის მიხედვით ეს საკითხი ერთჯერ და სამუდამოთ უნდა მოგვარდეს. სოფლების შემსწავლელ და გამომკვლევ კომისიებმა უმთავრესი ყურადღება უნდა მიაპყრან ამ გარემოებას და ამ საშუალებით მაინც ერთხელ და სამუდამოთ უნდა ამოიწუროს ეს საკითხი, რათა თავიდან ავიშოროთ გაუგებრობა. ამგვარათ ეგრეთ წოდებულმა „რაიონიროვანიემ“ მოგვცა აუარებელი უარყოფითი შედეგები.

ეხლა გადავხედოთ რამდენათ გამართლდა, რომ ამ რეფორმით ხარჯები უნდა შემცირებულიყო. ამ შემთხვევაშიაც ჩვენ ვხედავთ, რომ ხარჯები ეხლა გაცილებით უფრო მეტი აქვს სახელმწიფოს, ვიდრე ეს თემის სისტემის დროს ჰქონდა. მე მაქვს აღებული სამაგალითოდ ერთ ერთი მაზრა, რომელშიაც რომ სათემო ალმასკომები არსებობდეს, ის დაჯდებოდა 2288 მანეთი თვეში. სარაიონო აპარატის შენახვა კი ჯდება 2591 მანეთი 78 კაპეიკი. ამგვარათ სარაიონო აპარატი 303 მ. და 78 კაპეიკით მეტი ჯდება, ვიდრე სათემო აპარატი თვეში. ეს არის ერთი მაზრის მაგალითი და ისეთი მაზრის, რომელშიაც არ არის დაშვებული საბჭოს თავმჯდომარეებთან მდივნების დაქირავება.

ამ გვარად, სადაც ასეთი დაშვებულია, ცხადია გაცილებით უფრო მეტი დაჯდება რაიონის აპარატების შემოღება, ვიდრე ჩემ მიერ სამაგალითოდ მოყვანილ მაზრაში.

ამგვარად ამ მხრითაც უარყოფითი შედეგებს იძლევა რაიონის აპარატების შემოღება.

აღნიშნული რეფორმა ცხოვრებაში გატარდა სრულიად საქართველოს საბჭოების მეორე ყრილობამდე. ის უნდა დარჩენილიყო და დაეწყო მუშაობა იმ დებულების თანახმად, რომელიც საამისოთ იყო გამოცემული, მაგრამ, როგორც მოგეხსენებათ, აღნიშნული დებულება გამოსვლისთანავე დაირღვა იმით, რომ სოფლის საბჭოები კი არ შექმნილა, როგორც ამას დებულება ამბობს, ათას სულზე ერთი, არამედ დარჩა თემის საბჭოები 3—8 ათას სულზე—ერთი.

საბჭოების 2 ყრილობაზე ისევ იცვლება ეს დებულება და რამოდენიმე მაზრაში ნება ეძლევა დაქირავებული ყოფილიყო საბჭოებთან მდივნებიც. შემდეგ სწყდება საკითხი, რათა „მმაჩის“ საქმეებიც გადაეცეს საბჭოებს, მაგრამ ეს საკითხიც არ არის ჯერ მოგვარებული და არც შეიძლება მოგვარდეს, სანამ საბჭოს კანცელარიით არ ექნება.

ამას გარდა იცემა ცირკულიარი, იმის შესახებ, რომ რაიონის ფარგლებში აიკრძალოს და არ იყოს სავალდებულო ოთხფეხ საქონელზე მოწმობები, რაც, როგორც ზევით ვამბობდი, ხელს უწყობს ქურდობის გავრცელების და ქმნის მრავალ გაუგებრობებს. ამჟამათ კი რამოდენიმე საბჭომ მიიღო ნებართვა შინაგან საქმეთა კომისარიატიდან, რომ მათ აქეთ უფლება იქონიონ ბეჭდებიც და ასეთებით უკვე შემოღებული არის რამოდენიმე თემებში.

ამ გვარად, თუ გადახედავთ პირველათ გამოცემულ დებულებას და იმ ცვლილებებს, რომელიც შემდეგ მოხდა, თქვენ დაინახავთ, რომ საბჭოები ასრულებენ იმას, რასაც ასრულებდა ძველი ალმასკომი, რაიალმასკომი კი რჩება სრულიათ ზედმეტ ბარგათ. ეს დღემდისაც ასე იყო, მაგრამ არაოფიციალურათ, ხოლო დღეს კი ზემოხსენებულ უკან დახევების შემდეგ ამ საკითხში თემში კულტურულ და ეკონომიურ საკითხებს, რომლებზეც ზრუნვას დებულება ავალებს საბჭოებს, დაემატა კიდევ ზემოხსენებული ადმინისტრატიული ფუნქციები: რაიონის საბჭოს არაფერი არ რჩება გასაკეთებელი სინამდვილეში, თუ გინდ იმ დებულების მიხედვითაც, რომელიც საამისოთ არის გამოცემული

ამ საკითხშიაც, ერთგვარ თავმოყვარეობამ ადგილი უნდა დაუთმოს სინამდვილეს მიუდგომლათ შეფასებას საჭიროა ყოველივე შედეგების კარგად შესწავლა და საკითხის იმ გვარად გადაწყვეტა, როგორც ამას მოითხოვს მშრომელი გლეხობისა და ჩვენი სახელმწიფოებრივი აპარატის მოწყობის ინტერესები.

ამ შემთხვევაში შეიძლება საჭირო გახდეს შეცდომის აღიარება, მაგრამ ეს მხოლოთ და მხოლოთ საქმის გამოსაკეთებლათ არის საჭირო და მეტი არაფერი.

კარგი მუშაკი არასოდეს თავისი სიჯიუტით არ წაახდენს საერთო საქმეს. ჩვენი მთავარი თვისებებიც იმაში გამოიხატება, რომ ჩვენ შეცდომების აღნიშვნით და თვითკრიტიკით მივდივართ წინ. ამას ამბობდა და გვასწავლიდა ყოველთვის ჩვენი დიდი მასწავლებელი ამხ. ლენინი და ჩვენც არ უნდა ავსცდეთ მასწავლებლის მიერ ნაჩვენებ გზას.

ერთ წელიწადზე მეტია, რაც ეს საკითხი ყოველმხრივ შესწავლას განიცდის და დღეს, როდესაც ამოდენა უარყოფით შედეგებს ვხედავთ, საჭირო არის ამის აშკარათ აღიარება.

მე ვამბობ, რომ სრულიათ არავითარი, იოტისოდენა დადებითი მოვლენებს არ აქვს ადგილი ამ რეფორმის ცხოვრებაში გატარებით და ამიტომ საჭიროა დროზე გამოსწორდეს ეს.

ჩემ წერილში, რომელიც ეხება მუშაობას სოფლად, მე შევეხე მხოლოდ ორ მთავარ საკითხს რელიგიის და ხელისუფლების აპარატის მოწყობას.

ამავე დროს დავსვი სრულიათ ახალი საკითხი სოფლის სასამართლოების შემოღების შესახებ. ჩემის აზრით ეს არა ნაკლებ ყურადღების ღირსია, ვიდრე სხვა საკითხები და ამიტომ კარგი იქნება, თუ ისიც შეიქნება აზრთა გაცვლა-გამოცვლის საგნათ, რადგან ეს საკითხიც ეხება ჩვენი სოფლად მუშაობის საქმეს.

ა. ჟურუშაძე.

ქ. ზესტაფონის 1-ლ საბჭოთა სკოლაში

ქ. სესტაფონის 1 საბჭოთა სკოლის მოწაფეების მიერ მოწყობილ იქნა ფასიანი საღამო—3 ივნისს 1924 წ. შემოსავალი გადაიდო ღარიბ მოწაფეთა დასახმარებლად ექსკურსიის დროს და [illegible]—სასწავლებლის სამეურნეო ხარჯებისათვის.

ადგილობრივ ხელისუფლების თანაგრძნობამ და აქტიურმა დახმარებამ ღარიბი მოწაფეების გული გაახარა და საღამომ ჩინებულად ჩაიარა, რამაც საშუალება მისცა მოხსენებულ მოწაფეებს ექსკურსიით ესარგებლათ თავიანთ უფრო შეძლებულ ამხანაგებთან ერთად.

წმინდა შემოსავალი საღამოდან დარჩა 164 მ. და 52 კ. ამ ფულიდან 60 მანეთი გადაეცა დახმარების სახით ექსკურსიაზე მიმავალ ღარიბ მოწაფეებს; დანარჩენი კი გადაეცა სამეურნეო კომიტეტის თავმჯდომარეს,—სასწავლებლის გამგეს ნესტორ კოვზირიძეს სკოლის სამეურნეო ხარჯებისათვის.

პედაგოგიური საბჭო ღრმა მადლობას უცხადებს ქსენია შარიქაძისას, რომელმაც საღამოს დიასახლისობა იკისრა და მით თვალსაჩინო დახმარება გაუწია საღამოს.

12 ივნისს სკოლის მოწაფეები თავიანთ მასწავლებლებითურთ 70 კაცამდე, გაემგზავრნენ ქ. ბათომში და გზაზე ინახულეს ჩაქვის მამული. მოწაფეების ოლტაცებას საზღვარი არა ჰქონდა. ყოველივე უცნობმა მათში გამოიწვია ცოდნის შეძენის სურვილი და ხალისი.

სკოლის მიერ აღძრულია შუამდგომლობა ქ. ზესტაფონის საზოგადოების—„ფუტკარი და სკა“-ს გამგეობის წინაშე, რათა სასწავლებლის ეზოში მოთავსებულ იქნეს 2—3 სკა იმ მიზნით, რომ მომავალ 1924—25 სასწავლო წლის დასაწყისიდან უფროსი ჯგუფის მოწაფეებს საშუალება მიეცეთ, იმავე საზოგადოების დახმარებით, მეფუტკრეობა შეისწავლონ თეორეტიულად და პრაქტიკულად, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი სასოფლო მეურნეობის განვითარებისათვის.

ნ. კოჭირიძე.

უშათა ცხოვრება

აგლეს დასასრული არ უჩანს.

ალმასკომის საყურადღებოდ).

უკანასკნელ დროს იმდენი არაფერზე არ იწერება გაზეთებში, რამდენიც შოფერების თავხედობაზე. 17 ნისს, ნაშუადღევის ხუთზე მე დავ უნდი „კომუნისტ“-ის რედაქცი ან და მივატანე ალექსანდროვის ის წინ სასტუმრო „გრანდ-ოტე ის კუთხემდის და ამ დროს იარ ს მხრიდან მოჰქროდა ნახევარ უზოვიკი“ ავტომობილი, რომელ იმდენად ახლო მოატანა კუთხის სახვევამდის, რომ თუ ერთი ნაბი თ უკან დავრჩომილიყავი ზედ შუა გადამივლიდა. მას „სიგნალი“ არ უცია გასაფრთხილებლად და ტრო არზე გადასვლამდის ისე წამკრა რცხენა ფეხში, რომ გრძნობა დაკარგული ძირს დავეცი და ამიტომ მე ველარ შევნიშნე რა ნომერი იყო და ვის ეკუთვნოდა. იქავე, ბაღის კარებთან მორიგი მილიციონერი იდგა. მაგრამ აქ თითქოს არა მომხდარიყოს რა, და საჭირო არ იყო ყურადღება მიექცია იმას, თუ აქ რა მოხდა, მან არც ავტომობილი გააჩერა და არც კი მომიახლოვდა, რომ გაეგო საქმის გარემოება, თითქოს ეს მის მოვალეობას არ შეადგენდა.

შოფერმა კი თავისუფლად გააქანა ავტომობილი, რამაც დამსწრე ხალხი საკმაოდ აღელვა.

ფეხზე წამომაყენეს. მუხლის საკეც ქვეით რბილ ხორცზე ვგრძნობდი საშინელ ტკივილს. ვინ იცის, ჩემს შემდეგ რამდენი მშრომელი ადამიანი შეიქმნება მსხვერპლი შოფერის ასეთი თავხედობისა.

დრო არის შოფერის თავხედობას ბოლო მოეღოს.

მუშკორი ა. ბ—შვილი.

მუშაკი ასეთი უნდა.

თბილისის ყველა სახალხო სასამართლოთა შორის ჩვენს ყურადღებას იქცევს საბინაო მესამე სახალხო სასამართლო.

მე შემთხვევა მქონდა ამ სასამართლოში რამდენჯერმე დასწრების სხვადასხვა საქმის გარჩევის დროს. აქ დიდძალი ხალხი ესწრება საქმეების გარჩევას და თვალყურს ადევნებს ყველა გასარჩევ საქმის მსვლელობას. აქვე მდივანთან მოდის ხალხი ყოველგვარი ცნობების მისაღებად, ყველგან სრული წესიერებაა დაცული და საქმეც შესაფერად მიმდინარეობს. ხალხი დიდ კმაყოფილებას გამოსთქვამს, მდივნის ფილიქს ბეთანელის შესახებ, რომელიც დიდძალ ხალხს მიწოდებით, რომელთაც არ უხდებათ დიდ ხანს ლოდინი და თავის მობეზრება.

ეს მდივანი ხალხის მოთხოვნილებებს საჩქაროდ აკმაყოფილებს და სწრაფად აწვდის ყოველგვარ აუცილებელ ცნობებს და მაშინათვე ისტუმრებს.

შემთხვევა იყო, რომ ერთ დღეს 10 წუთის განმავლობაში 40 კაცი დააკმაყოფილა მან. საერთო განცვიფრება გამოიწვია მისმა ასეთი სისწრაფით მუშაობამ.

წესიერი და უტყუარი ცნობები მიცემული მდივნის ბეთანელის ყველა მსურველთათვის დამზადებული აქვს და არ უხდება დიდხანს ძებნა და დროს დაკარგვა. ამ მდივნის ასეთი გულწრფელი მუშაობა და პატიოსნური მოპყრობა მთხოვნელებისადმი მაგალითი უნდა გახდეს სხვა სასამართლოს მდივნებისათვის, რომლებიც თითო საათობით აბანდებენ ყოველ მიმსვლელს რაიმე ცნობის მიღებისთვის.

მუშკ. ხ. ლ—ძე.

რატომ არ დადიან მუშები მუშათა ცენტრალ. კლუბში

(საქ. პროფკავშირთა საბჭოს საყურადღებოდ).

არა ერთხელ იყო აღნიშნული გაზეთის ფურცლებზე, რომ სიმფონიურ კონცერტებზე, რომელიც იმართება მუშათა ცენტრ. კლუბში, მუშები ნაკლებ ესწრებიან, უფრო არ ესწრებიან; ამას მიაქცია ყურადღება კლუბის გამგეობამაც და მეორე რაიკომმაც.

რა ზომებია საჭიროდ მივიღოთ, რომ მუშები დაინტერესდნენ სიმფონიით? ჯერ ეს ერთი—უნდა აუცილებლად გაიაფდეს შესასვლელი ბილეთის ფასი სიმფონიაზე 20 კაპ. მაგიერ უნდა დაწესდეს 5—10 კაპ. 2) სიმფონიას წინ უნდა უძღოდეს ახსნა-განმარტება ამა თუ იმ შესასრულებელ მუსიკალურ ნომრისა, ეს თვით დირიჟორის საქმეა, მან უნდა აუხსნას მუშებს, რას ნიშნავს ესა თუ ის მუსიკალური ნაწარმოები; ვის მიერ არის დაწერილი; რას წარმოადგენს იგი, რა არის ჩასახული ამა თუ იმ ნომერში, რომელ ეპოქას ეკუთვნის ის და სხ. ერთი სიტყვით, მუშა სიმფონიაზე უნდა განვითარდეს და არა მარტო მოისმინოს. შემდეგ ამისა, რომ მუშები ესწრებოდნენ კლუბში, საჭიროა „ცოცხალი გაზეთი“-ს მოწყობა, რომლის საშუალებით მუშებს დავაინტერესებთ კლუბის მუშაობაში ჩაბმით. შემდეგ უნდა მოეწყოს კლუბის ბაღში—საბავშვო ბაქანები, კარგი ხელმძღვანელით; ბავშვებისათვის საჭიროა სუფთა ჰაერი და პატარა ფიზიკური ვარჯიშობა. უნდა მოეწყოს [illegible] გასამართლებანი და სხ. მრავალი საღი საღამოები, თორემ სიმფონია მუშათა კლუბში გარდაიქცა მხოლოდ ნეპმანებისათვის და მოხელეთათვის გასართობ მოვლენად.

კლუბს ამჟამად დაეკარგება მუშური ელფერი, რაც სამწუხაროა.

მუშკორი მელითონე.

მოგვაშორეთ ასეთი პირები

(მბეჭდავთა კავშირის საყურადღებოდ).

ელისაბედის ქუჩაზე სახლი № 60-ში ვცხოვრობთ მბეჭდავთა კავშირის წევრი მუშები, რომელთა რიცხვი უდრის 30-დე ოჯახს. ბევრჯერ დაწერილა ამ სახლში გამეფებულ სხვადასხვა უწესრიგობაზე, რომელსაც ადგილი ჰქონდა წინად, მოვითხოვდით, რომ კავშირს ყურადღება მიექცია აქ მცხოვრებ თავის წევრებისათვის.

აქვე, ეზოში ცხოვრობენ ცოლ-ქმარი ბუდიისკები. ქმარიც და ცოლიც ხშირად არიან მთვრალები. ძალიან უყვარს ლოთობა ნინა ბუდიისკაიას, რომლის დროსაც უშვერი და უწმაწური სიტყვებით უმასპინძლდება იგი მეზობლებს, სრულიად უმიზეზოდ.

1-ლ ივლისს ამ სახლში მცხოვრებ მუშების კრებამ გამოიტანა დადგენილება, რომ ბუდიისკები, როგორც მუშათა ოჯახების შემარცხვენელები და მოუსვენარი ხალხი, გააძევონ თავიანთი წრიდან.

მათი გამოსწორება არ მოხერხდა. თვით ანდრია ბუდიისკი ხშირად ვაჭრობს სალდათის ბაზარზე კვირაობით. ის კავშირის წევრია და მას უფლება არა აქვს ვაჭრობისა.

ოთახიც მშვენიერი აქვთ, სადაც ორი ადამიანი სცხოვრობენ და ეს მაშინ, როდესაც არიან ამხანაგები, უბინობის და ვიწროობის გამო ძლიერ შეწუხებულნი.

მუშკორი —ნი.

საკონფლიქტო კომისიის დადგენილებას არ ასრულებენ

ა. წ. 24 აპრილს შესდგა ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიის სხდომა, რომელსაც დაესწრნენ: ადგილკომიდან—მეუნარგია და ჭელიძე, ხოლო ადმინისტრაციიდან—ლანდია და ჩიგოგიძე.

ამ კრებაზე გამოტანილ იქნა შემდეგი დადგენილება: „ვინაიდან დარაჯი მირაქიანი და დამტარებელი ბერიძე ერთ და იმავე დროს ემსახურებიან როგორც „ცესუს“, ისე დამუშავების განყოფილებას და აგრეთვე „ცესუში“ ღებულობენ მხოლოდ [illegible] ცენტი ამ ჯამაგირისა, რომელსაც ღებულობენ დამუშავების განყოფილების დარაჯები“.

ამ დადგენილებაზე მმართველმა გრიგორიანმა წააწერა: „მირაქიანს მიეცეს 50 პროც. ხოლო ბერიძე დამუშავების განყოფილებას არ ემსახურებაო“.

ვეკითხები შრომის კომისარიატს, პროფკავშირს და თვით გრიგორიანს აქვს თუ არა მას უფლება დაარღვიოს საკონფლიქტო კომისიის დადგენილება, თუ არ იქმნა მის ყაიდაზე დადგენილი?

შინაური.

მუშების წერილები მიზანს აღწევენ

შესახებ წერილისა, რომელიც მოთავსებული იყო „კომუნისტის“ № 140-ში სათაურით: **„ვერის ბაღი“** ტფილისის აღმასკომის კეთილმოწყობ განყოფილებამ მომართვით ა. წ. 28 ივნისიდან № 1878 შეგვატყობინა: „რომ უკვე ერთ თვეზე მეტია, რაც ჩვენ შევუდექით როგორც ბაღის, აგრეთვე წყალსაქაჩავის და შენობების შეკეთებას; აგრეთვე ვაკეთებთ ხიდს მდინარე ვერაზე და ამ ორი კვირის შემდეგ მუშაობა უკვე დამთავრებული იქნება“.

ინფორმატორი ვლ. ნუცუბიძე.

მუშათა ქრონიკა

— **ალმშენებელ მუშების ბინის პირობების გასაუმჯობესებლათ.** ალმშენებელ მუშების კავშირმა იშუამდგომლა საბინაო კოოპერატივთან, რათა მან აღძრას შუამდგომლობა ქალაქის აღმასკომთან ჩამორთმეულ სახლების კავშირზე გადაცემის შესახებ. კავშირს მიზნით აქვს დასახული გააუმჯობესოს კავშირის წევრ მუშების ბინის პირობები.

— **ჭიათურის მაღაროებში მომუშავე ახალგაზრდა მუშების აღწერა.** საქართველოს პროფკავშირთა საბჭოში ახალგაზრდათა კომკავშირის წარმომადგენლის ცირკულიარის თანახმად, ჭიათურაში მოეწყო ახალგაზრდა მაღაროს მუშების აღწერა.

— **მუშათა საშუალო ხელფასის გამოანგარიშება.** საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს სტატისტიკური ნაწილი აწარმოებს მუშების საშუალო ხელფასის გამოანგარიშებას.

— **სამტრედიის საქსოვ ფაბრიკის მუშებთან ხელშეკრულების განახლება.** ფეიქართა კავშირმა მოისმინა მოხსენება, რომ სამტრედიის მუშებთან არაა განახლებული წინეთ დადებული ხელშეკრულება. ამ მიზეზის გამო ადმინისტრაცია უგვიანებდა მუშებს ხელფასის მიცემას. კავშირმა სამტრედიაში [illegible] წარმომადგენელი ხელშეკრულებას.

ინფ. ლვ—ნაძე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— ოთხშაბათს, 9 ივლისს, საღამოს 7 საათზე, საჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოების ბინაზე (რუსთაველის პრ., 22) შესდგება **საქართველოს საჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოების პრეზიდიუმის, საბჭოს და რწმუნებულების სხდომა.**

დღის წესრიგში სდგას საკითხი „ავიაციის და საჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოების დღის“ გატარების შესახებ.

საჭიროა შემდეგი ორგანიზაციების წარმომადგენლების დასწრება: საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს კულტგანყოფილება, საქართველოს კომპარტიის და ახალგაზრდათა კომკავშირის ტფილისის კომიტეტების საავ.-საპროპ. განყოფილება, ფიზკულტურა, არმიის პოლიტიკური სეკრეტარიატი, ქართული დივიზიის პოლიტიკური განყოფილება და მუშკორების ბიურო.

საქართ. ს. ფ. მ. ს. პრეზიდიუმი.

ოთხშაბათს, 9 ივლისს, საღამოს 6 საათზე, პლეხანოვის სახელობის თეატრში (ლენინის რაიონი) შესდგება **ლენინის რაიონის სადელეგატო პარტიული კრება.**

დღის წესრიგი: 1. კანდიდატების გადაყვანა წევრებათ. 2. რკინის გზებზე კატასტროფების წინააღმდეგ მებრძოლი ცენტრალურ კომისიის მოხსენება. 3. მიმდინარე საქმეები.

ყველა დელეგატების, უჯრედების მდივნების და ბიუროს წევრების დასწრება სავალდებულოა.

ლენინის რაიკომის მდივნის მაგიერ **ფანცულაია.**

არსენალის რაიკომი და კომუნალურ მეურნეობის მუშაკთა კავშირი იუწყებიან, რომ ოთხშაბათს ა. წ. 9 ივლისს, საღამოს 6 საათზე გაიმართება კომუნალურ მეურნეობის მუშაკთა კონფერენცია. დღის წესრიგი: 1) ტრამვაის დირექტორის მოხსენება. 2) ელექტრონის სადგურების სამმართველოს მოხსენება.

ტრამვაის, ელექტრონის სადგურების და წყალსადენის წარმომადგენელთა დასწრება სავალდებულოა.

წარმომადგენლობის ნორმა ყოველ ათ კაცზე—ერთი დელეგატი, რომელსაც ირჩევს მუშების საზოგადო კრება.

პასუხის მგ. მდივანი მაშკევიჩი.

საქართველოს კომპარტიის თფილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომის ქალთა განყოფილება ოთხშაბათს, 9 ივლისს, საღამოს 6 საათზე, თფილისის აღმასკომის შენობაში იწვევს **საერთო სარაიონო სადელეგატო კრებას,** ქალთა ორგანიზატორებისა და დიასახლისებთან ერთად.

ქალაქის რაიკომის ქალთა განყოფ. გამგე მეზურნოვა.

ოთხშაბათს, 9 ივლისს, საღამოს 7 საათზე, საქართველოს კომპარტიის თფილისის კომიტეტში შესდგება მასწავლებელთა შორის მუშაობის წარმოების საკითხის დამმუშავებელ კომისიის თათბირი.

დასწრება სავალდებულოა შემდეგი ამხანაგებისათვის: შავერდოვა, კანდელაკი, ბუხნიკაშვილი და ხუმარიანი.

თბ. კომიტ. მდივანი რუბენი.

ხუთშაბათს, 10 ივლისს, საღამოს 6 საათზე, საქართველოს კომპარტიის თფილისის კომიტეტის ქალთა განყოფილებაში მოწვეულია **ქალთა ორგანიზატორების მორიგი თათბირი.**

დღის წესრიგი: ამხ. ოვანესიანის საინსტრუქციო მოხსენება ამიერ-კავკასიის ქალთა განყოფილებების გამგეების მე-3 თათბირის შედეგების შესახებ.

თბილისის კომიტ. ქალთა განყოფ. გამგის მოად. ლ. გარგალაჯევა.

— საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი იტყობინება, რომ ხუთშაბათს, 10 ივლისს, საღამოს 6 საათზე, ქალაქის აღმასკომის დარბაზში შესდგება **რაიონული სადელეგატო კრება** უჯრედების მდივნებისა და პასუხისმგებელ ხელმძღვანელებთან ერთად.

დღის წესრიგი: 1. მუშკოოპის ანგარიში. 2. საწარმოო თათბირების შესახებ. 3 რაიკომის ცნობა.

ყველა დელეგატების, პასუხისმგებელი ხელმძღვანელების და უჯრედების მდივნების დასწრება სავალდებულოა.

მდივნის მაგიერ ს. აკოპოვი.

— საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის **ქალაქის რაიკომის ქალთა განყოფილება** იტყობინება, რომ ოთხშაბათს, საღამოს 6 საათზე ქალაქის აღმასკომის შენობაში შესდგება დელეგატთა კრება ქალთა ორგანიზატორებისა და დიასახლისებთან ერთად.

ქალაქის რაიკომის ქალთა განყოფილების გამგე მეზურნოვა.

საჯევახოს რაიონს (გურია) მალარია ანადგურებს

(წყალთა სამმართველოს საყურადღებოდ)

მალარია ჩვენში ეპიდემიურ ხასიათს ღებულობს, დასავლეთი საქართველოს უმეტესი ნაწილი ამ სენით დაავადებულია, ხოლო მდინარე რიონის ნაპირები კი ბუდეა ციებცხელებისა. გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ ამ მხარეში მცხოვრებთა 50 პროცენტი ამ ავადმყოფობითაა შეპყრობილი, გლეხობის შემოსავლის სამი მეოთხედი ნაწილი მისთან ბრძოლაში იხარჯება. ჩვენ აქ გვინდა მივუთითოთ ერთ გარემოებაზე. ჩვენ მოგახსენებთ სად. სამტრედიისა და ნიგოითს შუა მდებარე ტბებზე. ვისაც კი უმგზავრია ამ მხარეში, მისთვის რკინის გზის პირად ადვილი შესამჩნევია ის უზარმაზარი ტბები, რომლებსაც ნარიონალის ტბები ეწოდება. სწორედ ეს ტბები არის უმთავრესი მიზეზი ამ სენის ასეთის სისწრაფით გავრცელებისა. თუ დასავლეთ საქართველოს სხვა მხარეებში მცხოვრებთა 50 პროცენტი დაავადმყოფებულია ამ სენით, ამ მხარეში კი (საჯევახოს რაიონში) ის ადის 90 პროცენტზე, რაც გამოარკვია მალარიის წინააღმდეგ მებრძოლმა ექსპედიციამ 1922 წ. აგვისტო-სექტემბერში.

ცხადია, რომ ეს ტბები არის უმთავრესი მიზეზი ამ ავადმყოფობისა. მ ტბებს არა თუ ერთი ან ორი ჯახი აუტირებია ან გადაუშენებია, ს სისტემატიურად მუსრს ავლებს თელს მოსახლეობას—სოფლებს და ადაშენების გზაზე აყენებს მათ.

ზემოდ თქმულის დასამტკიცებლად მოვიყვან შემდეგ მაგალითს:

1. სოფ. ჯაპანა თითქმის გადაშენდა; 2. სოფ. ქორეისუბანიც ამავე მდგომარეობაშია; 3. სოფ. გულეიკარი ერთ წერტილზეა გაყინული—იქ მცხოვრებთა რაოდენობა კლებულობს არა თუ არ მატულობს; 4. სოფ. ტობათში, სადაც ამ 30 წ. წინად 70 კომლი მოსახლეობა იყო, დღეს მხოლოდ 12 კომლამდე მოსახლეა; 5. ს. დაფნარში მცხოვრებთა რაოდენობა ყოველ წლიურად კლებულობს; 6. ერთ დროს დიდ და მრავალრიცხოვან სოფ. ორპირში მხოლოდ 24 კომლი-ღა დარჩენილა და 7. ს. „ეკალი“ კი მთლად გადაშენდა.

ცხადია, რომ ასეთი მდგომარეობა ფრიად დამაფიქრებელია. მიზეზი ამ სოფლების ამ სახით გადაშენებისა არის ნარიონალის ტბები.

მხარე, რომელიც ცნობილია თავისი უხვი და ნაყოფიერი მოსავლიანობით, განიცდის ასეთს საშინელებას, რაც, რა თქმა უნდა, ღირსია ყურადღებისა.

1921—22 წლებში წყალთა სამმართველო შეუდგა ამ ტბების დაშრობას. ხალხს დიდი იმედი მიეცა, ის არ ზოგავდა არავითარ შრომას ოღონდ მიზნისთვის მიეღწია—ენახა ეს ტბები დამშრალი, და თუმცა ხალხმა უამრავი შრომა გასწია, მაგრამ შედეგი მისგან კი არაფერი არ სჩანს. ეს გარემოება იწვევს ხალხში დიდ უკმაყოფილობას და არც იციან, თუ ვის უნდა მიმართონ ამ საქმისათვის.

წყალთა სამმართველო, რომელმაც ხელი მოკიდა ამ საქმეს, კვლავ უნდა განაგრძოს აქ მუშაობა და კიდევაც უნდა დაასრულოს ის. ვერავინ ვერ დაგვარწმუნებს მასში, რომ სხვა კუთხეს უფრო პატივსადები მიზეზი ჰქონდეს, ვინემ ამ მხარეს. ხალხი მზად არის პირველ გამოწვევაზე გავიდეს სამუშაოდ, საჭიროა მხოლოდ ხელმძღვანელი.

ჯანმრთელობის კომისარიატმა თავის მხრით უნდა მიიღოს უახლოესი მონაწილეობა ას საქმეში, რადგან რამდენი ექიმი, ექსპედიცია და ქინა არ უნდა მიაწოდოს მან ამ მხარეს—საქმეს მაინც არ ეშველება, თუ ეს ჭაობები არ იქნა გაწმენდილი და ამოშრობილი.

ბ. შანიძე.

ხეთა (სენაკის მაზრა)

ხეთის თემში და საერთოდ ხობის რაიონში ძლიერ გავრცელებულია საქონლის ჭირი. ამის გამო ხორგის თემში სამხედრო უწყების შეშის დამამზადებელი კანტორის მუშაობა შეფერხებულია, შეშის გაზიდვა შეწყვეტილია. თუ დროზე არ იქნა მიღებული სათანადო ზომები, დიდი საფრთხე მოელის როგორც წვრილ, ისე მსხვილ-ფეხა საქონელს.

აკ. იულიანიშვილი.

უთავბოლო მოგზაური

(წერილი გორიდან)

გაზ „[illegible]“ № 108-ში მოთავსებულია კორესპონდენცია მოქ. ს. ქავთარაძისა სათაურით: „სოფ. ხელთუბანი“ (გორის მაზრა), რომელშიაც ის ეხება ამ სოფლის „ჭირვარამს“ და, სხვათა შორის, სწერს:

„განათლების მხრივ ხალხი ძალიან დაქვეითებულია. სკოლისათვის არც შესაფერი შენობაა, ადგილობრივმა ხელისუფლებამ ყოველი ღონისძიება უნდა იხმაროს ახალი და კარგი შენობის გაკეთებისათვის, რადგან ძველი შენობა ნიწის ძვრამ ისე დააზიანა, რომ მის შეკეთებას ახალი შენობის გაკეთება სჯობია. არც ბიბლიოთეკა არსებობს და გაზეთებიც არავის მოსდის. აქაური მცხოვრებლები ყოველ ახალი ამბის გაგებას მოკლებულნი არიან“.

დიდი ბედნიერია სოფ. ხელთუბანი, რომ ასეთი საუკეთესო „გულშემატკივარი“ გამოუჩნდა, მაგრამ უბედურება იმაშია, რომ მას დღემდის ვერ იცნობენ ამ სოფელში და დიდათ სამწუხაროა, რომ ასეთი საზოგადო „მოღვაწე“ აქ არ იმყოფება.

ეტყობა კარგ გუნებაზე ყოფილა მოქ. სიკო ქავთარაძე, როდესაც ეს წერილი დაუწერია, მაგრამ უფრო კარგი იქნებოდა, რომ ასეთივე სიხალისე საქმისადმი გამოეჩინა და ოდნავ მაინც დაინტერესებულიყო სინამდვილის გაგებით.

მოქ. სიკო ქავთარაძემ ისიც კი არ იცის, რა ადგილას სდგას ხელთუბნის სკოლა და მის სიავკარგეზე ლაპარაკობს. ის შემთხვევით მოსულა აქ, ვილასაც რაღაც უთქვამს და წასულა... შემდეგ გაზეთის ფურცელზე უთავბოლოთ გაიძახის „ადგილობრივმა ხელისუფლებამ ყოველი ღონისძიება უნდა იხმაროს ახალი და კარგი სკოლის გაკეთებისათვისო“. ამ სტრიქონების წამკითხავი, რომელიც ახლოს ვერ იცნობს საქმის მდგომარეობას, იფიქრებს: რა „უვარგისი“ ხელისუფლება ჰყოლიათ ამ საცოდავ სოფლებს... იქ რომ სიკო ქავთარაძე იყოს, სამუდამოთ ეშველებათ ამ უკულტურო ხალხსო“. ასე წარმოიდგენს ადამიანი, რომელმაც არ იცის ხელთუბნის სკოლის კარები საით აბია. ასეთ ადამიანს რა ეცოდინება ადგილობრივი ხელისუფლების საქმიანობა? მკითხველთა საყურადღებოთ ვაცხადებთ, რომ ადგილ. ხელისუფლება არავითარ ძალღონეს არ ზოგავს სწავლა-განათლების საქმისათვის. ჯერ კიდევ 3-4 თვით ადრე, სანამ სიკო ქავთარაძის „რჩევა-დარიგებას“ მივიღებდით, ადგილ. ხელისუფლებამ დაამთავრა ხელთუბნის სკოლის შეკეთება და ის დღეს ერთ საუკეთესო სკოლათ ითვლება მთელს გორის რაიონში. ის სრულიადაც არ ყოფილა მიწის ძვრისაგან დაზიანებული, როგორც ამას ლაპარაკობს ქავთარაძე, მხოლოთ ესაჭიროებოდა კაპიტალური შეკეთება და ეს კიდეც შევასრულეთ.

ამავე სოფელში გაკეთდა საუკეთესო ბიბლიოთეკა-სამკითხველო არსენ ჯორჯიაშვილის სახელობაზე, რომლის მიზანია ყველა მახლობელ სოფლებს მიაწოდოს თავის დროზე ჟურნალ-გაზეთები. ამ სოფელში წინათაც მიდიოდა გაზეთები, მაგრამ ფართო მასსა ვერ სარგებლობდა. მოქ. ქავთარაძე ყირამალა ატრიალებს სინამდვილეს და თითქოს ჩვენზე დიდი გულშემატკივარი იყოს ამ სოფლის კეთილდღეობაზე, მედიდურათ „არიგებს“ ადგილობრივ ხელისუფლებას. ის, რაც საბჭოთა ხელისუფლების დროს და განსაკუთრებით გორის რაიონის აღმასკომის დაარსების დღიდან გაკეთდა და შეუჩერებლივ კეთდება, სიზმარშიაც არ უნახავთ წინედ გლეხობას, მაგრამ სიკო ქავთარაძისათვის ეს ეხლაც სიზმარი ყოფილა. ეს რა ჩვენი ბრალია! გლეხობა რომ ჯერ კიდევ ჩამორჩენილია კულტურულათ, ეს სიკო ქავთარაძეზე ადრე და კარგათ იცის ად. ხელისუფლებამ, მაგრამ ამ ჩამორჩენილობის აღმოსაფხვრელათ საჭიროა დაუშრეტელი საქმიანობა და არა უთავბოლო ლაყბობა.

გორის რაიონის აღმასკომის თავმჯდომარე ა. ცაბაძე.

ჯამაგირები ვერცხლის ფულით (სენაკის მაზრა)

მსოფლიო ომმა ყველაზე მეტად დააზარალა მასწავლებლობა და საერთოდ განათლების საქმე.

ბურჟუაზიულ - იმპერიალისტური სახელმწიფოები განათლების საქმეს ყურადღებას როდი მიაქცევდენ, როდესაც მათთვის ომისა და ერთმანეთთან ქიშპობის საკითხი პირველ ხარისხოვანი იყო.

ოქრო და ვერცხლი ზარბაზნებზე და ყუმბარებზე იცვლებოდა. სოფლის ხალხი, ინტელიგენცია და მასწავლებლობა უფასო ქაღალდის ფულების ამარა იყო დატოვებული. თებერვლის რევოლიუციისა და მის მომყოლი დროებამ სრულიად არია ფინანსების საქმე. ბონების ფასი ყველაზე უფრო ჩქარა ეცემოდა და ეს კისერში ხვდებოდა სოფლის მასწავლებლობას, რომელიც მიიღებდა თუ არა ჯამაგირს, მეორე წამში ის არარად ღირდა.

ქვეყნის ეკონომიური და ფინანსიური ცხოვრების მოწესრიგების საკითხი შეიქნა საბჭოთა ხელისუფლების ქვაკუთხედად.

მან ეს ბრწყინვალედ დაავგვირგვინა.

მსოფლიო ომის მეათე წლის თავზე სენაკის მაზრის მასწავლებლობამ პირველად 29 ივნისს მიიღო **თავისი ნაშრომი ვერცხლის ფულის სახით.** ეს ფული ეუბნება ყველას და კერძოდ მასწავლებელს: საბჭოთა ხელისუფლებამ გააკეთა ეს!.. დააკვირდი კარგად და არ დაივიწყო, რომ განათლების საქმისთვის მას ნახევარი ბიუჯეტზე მეტი აქვს გადადებული და თავდადებულად ემსახურება მშრომელთა განათლების საქმეს.

ზაგრატ უჩანეიშვილი

განცხადებები

ღრმად დამწუხრებულნი მეუღლე ანასტასია [illegible], შვილები ივანე და შალვა [illegible] უწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ, 6 ივლისს ქალ. ხონში გარდაიცვალა მათი საყვარელი და დაუვიწყარი ექიმი

პოლიკარპე ივანეს ძე
ჩხიკვიშვილი

დაკრძალვა მოხდება ქალ. ხონში, ხუთშაბათს, 10 ივლისს, საღამოს 5 საათზე

თბილისის აღმასკომის ჯანმრთელობის განყოფილებასთან არსებული აფთიაქთა სამმართველო

ამით აცხადებს მოქალაქეთა საყურადღებოთ, რომ მიმდინარე წლის 3 ივლისიდან მის განკარგულებაში გადმოვიდა ჯანსახკომისაგან ქვემოთ ჩამოთვლილი ცხრამეტი აფთიაქი ქალაქ თბილისისა და მისი მაზრის:

მე-3 საბჭოთა	თავისუფლების მოედანი	(ყოფილი გეინე)
„ 4 „	ლენინის და ვერ. დაღმ.	(„ ზემელი)
„ 5 „	ლენინის ქ. № 35	(„ ზელკინი)
„ 8 „	კალინინ ქ. ნიკოლ. მოედ.	(„ სიმხოვიჩი)
„ 10 „	ლვინის ალმ. № 28	(„ ზოლატმიცკი)
„ 11 „	მადათოვის ქ. № 7	(„ მატარაძის)
„ 12 „	ჩერქეზოვის ქ. № 79	(„ იაკუბოვიჩი)
„ 13 „	პლეხანოვის პრ.	(„ ყასაბაშვილი)
„ 15 „	ელისაბედის ქ. № 84	(„ დედერ და კოხ)
„ 16 „	19 თებერვალის ქ.	(„ გვანცალაძე)
„ 17 „	ხუდადოვის ქ. № 10	(„ შეფელი)
„ 18 „	ელისაბედის ქ. № 212	(„ კოჩინევი)
„ 20 „	ვორონცოვის ქ. № 98	
„ 21 „	მუშტაიდის შეს. ტრამვაის სადგ.	
„ 22 „	ჩერქეზოვის და რეუტ. ქ. № 20	(ყოფ. გლეზერი),

მანგლისის, კოჯორის, წყნეთის და საგარეჯოს.

ალნიშნული აფთიაქებიდან კვირა უქმე დღეებში და აგრეთვე ღამღამობით იმორიგეობენ მე-3-მე, 4, 8, 10, 13 და 22 საბჭ. აფთიაქები.

ნ. 1308. 1--1 აფთიაქთა სამმართველოს თავმჯდომარე კობალაძე.

ზემო-ავჭალის ჰიდრო. ელსადგურის სამმართველოს

სასწრაფოდ ესაჭიროება:

1) საწერი მაგიდა დასაკეტავ ყუთებით.	5 ცალი
2) განჯინა (შკაფი) ნახაზებისათვის.	5 „
3) ლოგინი, (კრავატები) თავის ლეიბით (ტუფიაკი,	12 „
4) განჯინა (შკაფი) ტანისამოსის	12 „

წინადადებით მიმართეთ ხსენებულ სამმართველოს სამასალო განყოფილებას.

ნ. 1253 3—2 ზაჰესკომის სამასალო განყოფილება.

კონტრაგენტების, კიოსკების და ხელისმომწერთა საყურადღებოდ

ბეჭდვითი სიტყვის ექსპედიცია
შეუერთდა
ცეკას გამომცემლობის მთავარ კანტორას

ამიერიდან ყოველგვარი მიწერ-მოწერა გაზეთების მიღების, ჩაბარების და გამოწერის შესახებ სწარმოებს უშუალოდ

მთავარ კანტორასთან

მისამართი. თბილისი, რუსთაველის პროსპ., 24 მეორე სართული, ტელეფონი 10—49. 5—4

თბილისის კომუნალური
ბანკი

(პუშკინის ქუჩა № 3).

იძლევა

ამა წლის პირველ ივლისიდან ვიდრე შეცვლამდე, სახელდახელო (ჩეკიანი და უჩეკო) და უვადო შემოტანილ ფულებზე—6 პროც. წლ. ხოლო ვადა განსაზღვრულზე:

ერთ თვემდე—6 პროც.
1-დან 3-მდე—6 ნახ. პრო.
3-დან 6-მდე—7 პროც.
6-დან 9-მდე—7 ნახ. პრო.
9 თვიდან ერთ წლამდე 8 როც.

3—2 ნ. 1394

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზემო-ავჭალის ჰიდრო ელსადგური

აგების სამუშაოთა სამმართველო ამით აცხადებს,

რომ მის მიერ ა | წ. 17 ივლისისათვის დანიშნულია **შეჯიბრება** ქალაქ თბილისში 45 ცალი რკინა ბეტონის გადამხ. ბუდების აგების ნარ[illegible]დათ გაცემაზე.

ყველა სამუშაოები შესრულებული უნდა იქნეს მონარდის მასალებით, ხელსაწყოებით და მოწყობილობით, გარდა ცემენტის და ცერეზიტისა, რომელთაც მისცემს ზაჰესი ფრანკო ვაგონი სად. თბილი.

ყველა სამუშაოების შესრულების ვადა არის 4 თვე ნაწილობრივ ვადებზე დაყოფით.

იმ შემთხვევაში, თუ მონარდე ვადაზე არ დაამთავრებს აღებულს სამუშაოს, მას ზაჰესის მიერ გადახდება ჯარიმა ყოველვადაზე გადაცილებულ დღეში 1 პროც. რაოდენობით დაუმთავრებელ სამუშაოს ღირებულებიდან ხელშეკრულების ფასებით.

აღნიშნულ სამუშაოს სრულად ამღებ მსურველ[illegible]თ შემოაქვთ ამის შესახებ წერილობითი განცხადება სათანადო საღერბომარკებით დაწესებულ თეთრ ნიმუშზე („ბლანკი“) დახურულ კონვერტით წარწერით: „ზაჰესის სამუშაოთა უფროსს—გადამსახ ბუდეების შეჯიბრებზე ა | წ. 17 | 7“, რომელ რიცხვსაც დღის 2 საათზე გახსნილი იქნება კონვერტები.

განცხადებას დართული უნდა ექნეს ზაჰესის სალაროში განცხადებულ ჯამიდან 5 პროც. რაოდენობით საწინდარის შეტანის ქვითარი.

უძრავი ქონება და სხვა ამ გვარი საწინდრად არ მიიღება. საწინდარის წინასწარ შემოტანისაგან განთავისუფლებულ არიან სახელმწიფო ორგანოები და სათანადოთ რეგისტრაციაში გატარებული მუშათა არტელები.

იმ პირთ და დაწესებულებათ, რომელთ სამუშაო არ ერჩებათ, საწინდარი დაუბრუნდებათ უკან შეჯიბრების შედეგების გარკვევისთანავე დაუყოვნებლივ. ხოლო იმ პირთა და დაწესებულებათ, რომელთ სამუშაო გადაეცემათ შეჯიბრებით, საწინდარი დარჩება ზაჰესის სალაროში და გადიდებული იქნება სამუშაოს საერთო ღირებულებიდან 10 პროც.-დე პირველ მისაღებ თანხებიდან 10 პროც. დაკავებით, რომელიც დაუბრუნდებათ უკან სამუშაოს სრულად და პირნათლად შესრულების შემდეგ.

სახელმწიფო დაწესებულებათ და მუშათა არტელებს სამუშაოს სრული ღირებულებიდან 10 პროც. რაოდენობით საწინდარის შესავსებად პირველ მისაღებ თანხებიდან დაეკავებათ 15 პროც.

დაწვრილებითი პირობების, ნახაზების, სამუშაოთა რაოდენობის და ტეხნიკური პირობების გაცნობა მსურველთ შეუძლიათ ზაჰესის ტეხნიკურ განყოფილებაში ყოველ დღე დილის 10—12 საათამდე (ქ. თბილისი ლადო დუმბაძის ქ. № 3—ყოფილი ველიამინოვის ქ.).

იქვე იქნება გაცემული განცხადებისათვის დაწესებული თეთრი ნიმუში.

ნ. 1309 2—1 სამუშაოთა უფროსი, ინჟინერი ჭიჭაძე.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის
საგამომცემლო კანტორა

გაუწყებთ, რომ საქ. კომპარტიის ცეკას ცირკულიარული მოწერილობა პარტიული წესით სავალდებულოთ ხდის ყველა სამსახურშიმყოფ (ქართულის მცოდნე) კომუნისტისათვის იყოს მუდმივი ხელისმომწერი ისტორიულ ჟურნალ

„რევოლუციის მატიანე“-

(ცირკულიარი მოთავსებული იყო „კომუნისტის“ 24 ივნისის

ჟურნალი გამოდის **ორ თვეში ერთხელ** და ღირება 80

რათა ცეკას ცირკულიარი სისრულეში იქნას მოყვანილი, ს ჭიროა ახლავე დაიწყოს ხელისმომწერთა სიის შედგენა, რომ დღიდან ერთი კვირის განმავლობაში ეცნობოს კანტორას ჟურნალის მოთხოვნილებათა რაოდენობა.

ჟურნალის №№ 2—3 (7—8) ერთად გამოვა დაახლოვებით 400 გვერდ. და მზად იქნება ამ დღეებში.

ხელისმოწერა სწარმოებს **მთავარ კანტორაში,** რუსთაველის პროსპ. № 24.

ჟურნალი ღირება **ერთი** მანეთი. კოლექტიურ ხელისმომწერთ შეღავათი 20 პროცენტით. 5—4

ელექტრონის და სინათლის

სამკურნალო

საწოლებით რენტგენი დ'არსონვალი

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის

ნერვიულ და შინაგან ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ

სამკურნალო სწარმოებს **ექ. სვიმონ უიფშიძის** ხელმძღვანელობით. თბილისი, ყორღანოვის ქ. № 20. 126—25—25

ექიმი დ. ნ. მატვეევი-მგალობლიშვილი

ყელის, ყურის, ცხვირის და თვალის ავადმყოფობანი.
ოპერატიული მკურნალობა, პლასტიური აპერაციები.
ავადმყოფთა მიღება საღამოს 5-დან 7 ნახ.-მდე კვირადღის გარდა.
ვერა, მლეთის შესახვევი, № 20. 1164—25—25

ექიმი გ. გ. მეგრაბიანი

შინაგანი, გულითა და ჭლექით დაავადმყოფებული. სპეც. ციების წამლობა—შეშხაპ. 915 ყოველ ორგანოების განათება, ფოტოგრაფიული გადაღება და წამლობა

რენტგენის სხივებით

დილ. 9—1 ს. დღ. და 6—8 ს. საღ. ბებუთოვის ქუჩა № 23. 895—12—12

დაიკარგა პირადობის მოწმობა მოცემული ცტმოდან № 349. ესტატე საბანაძეს სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1441 1—1

დაიკარგა პირადობის მოწმობა, ბირჟის ქაღალდი და რეგისტრაციის მოწმობა ბარსეგ სოვდაგარიანის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1442 1—1

დაიკარგა სამხედრო აღრიცხვის ბარათი ნიკოლოზ დავითის ძე ლუკაშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1440 1—1

დაიკარგა სამხედრო აღრიცხვის ბარათი მიხეილ დადიშკელიანის სახელზე მიღებული მე-10 სამილ. უბნის სამხედრო მაგიდიდან. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1439 1—1

ტირაჟი 12.000

სტამბა „ზარია ვოსტოკა“, საშა წულუკიძის ქუჩა № 4.